ტელეფ. 6-60 წელიწადი 1914 მეოთხე ტელეფ. 6-60

ორშაბათი, 9 ივნისი, № 179

# თემი

ორშაბათი, 9 ივნისი, № 179

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ., 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе. ხელისმოწერა და განცხადებანი მიიღება, აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის

წელიწადი მეოთხე „თემი" წელიწადი მეოთხე

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ 2 საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება **აკაკის** პოემა „**რაჭა-ლეჩხუმი**", რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა (ქარტა); 2), **ნ. ა. დუბროვსკის** თხზულებას „**ავგუსტ ბებელი**", რომელიც საკუთრად „თემისათვის" არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემის" რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4) ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კაპ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

ადრესის გამოცვლა თბილისს გარეშე—40 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Ольгинская 4, д. Діасамидзе, редакція газ. „Теми"

დღეს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნულია ცხრა დღის პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

ალექსანდრე ივანეს ძის

**სარაჯიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს საზოგადოების წევრთ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" საბჭო. პანაშვიდი დაიწყება ნაშუადღევის 1 საათზე.

**ექ. ვახტანგ დ. ღამბაშიძის**

**სანატორიუმი**

**„პატარა-ცემი"**

ბავშვებისათვის 8-15 წლამდე.

დაწვრილებით ცნობები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ

მისამართი: თბილისს, ექიმ ვ. ღამბაშიძეს.

**ახალი კლუბი**

(საზაფხულო თეატრი).

ორშაბათს 9 თიბათვეს 1914 წ. გაიმართება

**კონცერტი**

დიდი სიმფონიური ორკესტრისა

**ი. პ. ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით

მონაწილეობას მიიღებს ქალ. მარიამ ივანეს ასული

**ალეშკო**

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ადგილების ფასი: 1 რიგი—1 მ. 50 კ, 2, 3—1 მან., 4, 5, 6, 7, 8, 9,—50 კ. ბალკონი—50 კაპ. კლუბში შესასვლელს სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ.

დაიწყო ხელის მოწერა **ჯაჯუ ჯორჯიკიას** თხზულების 1-ლ ტომზე.

წიგნში იქნება 300 გვერდი და დაერთობა კ. **აბაშიძის** და მ. **წულუკიძის** კრიტიკული წერილები. ხელის მოწერა 1 აგვისტომდე გაგრძელდება. წიგნი ხელის მომწერთ ენკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის ფასი 50 კაპ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: **ქუთაისი**: „ჩვენი ერის" რედაქციაში, გიგლა მებუკესა და სერგო გერსამიას.

**ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში:** მთავრიშვილისა, ოცხელისა გიგიბერიძის წიგნის მაღაზიებში. დათიკო ბვალიანთან, ილიკო მეხთან, ჟურნალ-გაზეთ კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყროშიძესთან, გ. შავდიასთან, ნინა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ასულთან და სხვებთან, **ტფილისში**—„სახალხო ფურცლის" და „თემის" რედაქციებში. **ბაქოში**—ექიმ ივ. ელიაშვილთან—**თელავში**—ივანე პაატაშვილთან, **სიღნაღში**—„კახეთის ხმის" რედაქციაში, **ჭიათურაში**—პლატონ ლეჟავასთან, **ყვირილაში**—კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ბაკურიანში**—ნიკ. აბესაძესთან, **წალენჯიხაში**—ალ. კვიცარიძესთან. **ხარაგაულში**—ფოსტაში კ. ჯაფარიძესთან, **მარელისში**—მასწავ. მ. დეკანოსიძესთან, **მოლითში**—ს. ღამბაშიძესთან, **სამტრედიაში**—ის. სტურუასთან, **აბაშაში**—ალ. ესაკიასთან, **ახალ-სენაკში**—ვლ. კვანტალიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან, **ფოთში**—მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან, **ლანჩხუთში**—შოთა ვადაჭკორიასთან, **აცანაში**, **შუხუთში**, **ლესაში** და **ჩიბათში**—ფერშალ ქ. ორაგველიძესთან, **ბათომში**—„ბათომის გაზეთის" რედაქციაში, ს. მღივანთან და განთიადის წიგნის მაღაზიაში, **ოჩემჩირეში**—თეოფილე ხუსკივაძესთან, **ნოხაში**—მომხმარებელ საზოგადოებაში, **წინამძღვრიანთ კარში**—ნესტორ ძიძიგურიასთან, **ონში**—ილია გოგიასთან, **ახალციხეში**—სამსონ ფრუიძესთან, **ზუგდიდში**—იოსებ გოციასთან, **ხონში**—კესარია მებუკეს ასულთან, მ. ჭელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან, **სოხუმში**—პლატონ გელოვანთან, **ზანძაში**—ესტატე მჟავანასთან, **განჯაში**—ტრ. თაბუკაშვილთან, **ოზურგეთში**—გიორგი მუმლაძესთან, **ნათლისმცემელში**—ავქსენტი ფარულავასთან, **ნახუნაოში**—ბეგლარ ფალავასთან, **მალთაქვში**—ელენე ნიჟარაძესთან, **ამაღლებაში**—მ. ჩიჯავაძესთან, **ბაღდადში**—გ. ახვლედიანთან, **მათხოჯში**—ლავ. ძიძიგურთან, **კავკავში**—იასონ წერეთელთან, **ჩოხატაურში**—ერ. თავდგირიძესთან, **ხობში**—პოლიხრონ ოგანეზოვთან, **ქუთაის. გუბერნიის** სხვა და სხვა დაბასა და სოფელში მელიტონ დოლაბერიძესთან **გურიაში, რ. შანა** და სხვადასხვა ადგილებზე გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

**ახალი კლუბი**

(საზაფხულო შენობა)

პარასკევს, 13 ივნისს 1914 წ.

ჩვეულებრივ

**სინემატოგრაფიული სურათები**

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

**განცხადება**

**ხარფუხის კლუბი**

გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხეილის პროსპექტზე, № 131 ინჟინერ ბარტის ბაღში, სინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით.

დღეს, ორშაბათს, 9 ივნისს

**მუსიკა და სინემატოგრაფი!!**

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს 25 კაპ.

დასაწყისი $8^1/_2$ ს. საღამოს.

## თბილისი, 9 ივნისი.

გუშინ დაიწყო ქართული სცენის მოღვაწეთა—პირველი ყრილობა. ეს ისეთი თვალსაჩინო, ღირს-შესანიშნავი მოვლენაა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში, რომ მისი განსაკუთრებით არ აღნიშვნა მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა ჩვენის მხრით. ჩვენ სიხარულით ვეგებებით ამ საქმის თაოსანთ. ახლა, როდესაც ქართული სათეატრო საქმე მომაგრდა, როდესაც ძველ მსახიობ-მოღვაწეთა წყალობით ქართული სცენის მუშაკთა და მოყვარეთა რიცხვი გამრავლდა, დიად საჭიროა თათბირი სასცენო საქმის წინ-წაწევის საშუალებათა გამოძებნის შესახებ. არც ერთ კულტურულ საქმეს ჩვენში არ გაჰლიმებია ბედი ისე, როგორც ჩვენს საყვარელ თეატრს. თეატრში სიარული მოთხოვნილებად გარდაიქცა ყველა შეგნებულ ქართველს. დაჰკეტეთ თეატრი და ქართველი განვითარებული მცხოვრები ვერც ერთს წუთს ვერ გასძლებს. სათეატრო საქმე ისე განვითარდა ჩვენში, რომ მასზე ჰფიქრობს, მისთვის ზრუნავს ყველა, მდიდარიც და ღარიბიც. მუშისათვის და გლეხისათვისაც თეატრი გადიქცა მის საკუთარ საქმედ. მიაქციეთ ყურადღება, როგორის სიყვარულით ჰმართავენ წარმოდგენებს სადღაც მივარდნილ სოფლებში, ქალაქის სხვადასხვა კუნჭულებში, რა ზეიმით და აღტაცებით ეგებებიან სამოგზაუროდ წასულ დასებს და მაშინ დაafასებთ, თუ რაოდენ კულტურულ ძალას წარმოადგენს ჩვენთვის ქართული თეატრი.

ჩვენ გულწრფელ სალამს ვუძღვნით პირველ ყრილობის წევრებს. ვინ ატრით, რომ მათი შრომა ნაყოფიერი გამოდგეს, გამაგრდეს უფრო გამძლარი ფესვები ჩვენი საუკეთესო არტისტების-მიერ დაწყებულ დიადი საქმისა. ყრილობის ნაყოფიერ მუშაობას შედეგად მოჰყვება ქართულ სათეატრო საქმის აყვავება და თეატრთან ერთად აყვავდება ქართული ლიტერატურა, მხატვრობა, მოქანდაკობა, სიმღერა-გალობა, ქორეოგრაფია და ბევრი კიდევ სხვა დარგი ხელოვნებისა. შეიქნება ამნაირად დიადი კულტურული განძი, რომელშიაც გამოისახება გენიოს შოთას დამბადებელი ერის გონებრივი ძლიერება.

ამ გზით შევიტანთ მსოფლიო კულტურის სალაროში ჩვენს წვლილსაც.

მაშ, გაუმარჯოს ქართული სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობას!..

—

დამთავრდა თბ. ქართველ თავადაზნაურობის კრება. არა-ჩვეულებრივის სისწრაფით განიხილა მან მორიგი საქმეები და ხარჯთაღრიცხვა. არა-ჩვეულებრივივე მუყაითობა გამოიჩინა მარშალთა და დეპუტატთა საკრებულომ. ყოველ მათ მოხსენებას დაკვირვება ეტყობოდა. არ შეიძლება, რასაკვირველია, ეს არ აღინიშნოს. რა თქმა უნდა, ხსენებულ კრების საქმიანობას საზოგადოდ ყოველთვის ემჩნევა წოდებრივი ელფერი. რამდენიც უნდა ეცადოს ამ კრების წევრი, ის მაინც მთლად ვერ გასცდება თავის წოდების ფარგლებს, რომელსაც უდებს მას დახავსებული მეცხრე ტომი. თავადაზნაურობის პროგრესიულად მოაზრე ნაწილი სცდილობს მაინც ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ ფართოდ გამოიყენოს თავიანთ წოდების უფლებები და თანხები, რამდენად, რასაკვირველია, ეს ფარგლები ნებას აძლევენ მას. ეს გარემოება კარგა ხანია აწუხებდა და აწუხებს თავად-აზნაურობის მეორე ნაწილს, რომელსაც უფრო კონსერვატიული ფერი დასცემს. ეს მემარჯვენე ნაწილი თავს კარგად ჰგრძნობდა „ძველ რეჟიმის" დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც გ. ბაგრატიონი მმართველობდა თავად-აზნაურობის სამფლობელოში, თუმცა ამ ელემენტებს მაშინ თანხმობა და სოლიდარობა არ ემჩნეოდა, ზოგი მათგანი ოპოზიციაშიაც უდგენ გ. ბაგრატიონს. ახლა გარემოება შეიცვალა. საპირადო ქიშპის მიზეზები მოისპო და ერთი ცომიდან გამომცხვარი ელემენტები ჰლამობენ შეერთებას და იერიშის მიტანას თავად-აზნაურობის ლიბერალურ და მოლიბერალო ნაწილზე. ამ ცდამ, თუმცა, უნაყოფოდ ჩაიარა მათთვის, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ამ ცდას ჰქონდა ადგილი წრეულს. ჩვენ არა გვსურს ამ ჯგუფის წევრთა დასახელება, რადგანაც ეს არც საჭიროა. საკმარისია, რომ ასეთ ელემენტების ჯგუფი არსებობს და მოქმედების სურვილიც აქვს. ამ ჯგუფის პროგრამის გამომჟღავნება ჩვენის აზრით დიდად სასურველია. მიმალვა და მიჩქმალვა ინტერესებისა, თუ ეს ინტერესები ნამდვილად არსებობენ, დიდად მავნებელია საზოგადოებრივ ცხოვრების წინსვლისათვის. საჭიროა ყოველმა კლასმა, ყოველმა საზოგადოებრივმა ჯგუფმა გამოსახოს თავის სურვილ-წადილნი და მათი განმახორციელებელი საშუალებანი საჯაროდ, რომ ბრძოლა უფრო ნაყოფიერი, უფრო სასარგებლო იყოს. ამტომ ჩვენ დიდ შეცდომად მიგვაჩნია, როცა ლიბერალური და მოლიბერალო ნაწილი თავად-აზნაურობისა უფრთხობს მემარჯვენე ჯგუფს სურვილს თავის პროგრამის, თავის დეკლარაციის გამოქვეყნებისას.

წრეულს ამ ჯგუფის გამოსვლა გამოიხატა ქართულ გიმნაზიის დახმარების საკითხის გარჩევის დროს. ამ ჯგუფის მეთაურნი მოითხოვდენ ქართული გიმნაზია ცენზოსან თავად-აზნაურობის ხელში გადასულიყო, გიმნაზიის შენობა თავად-აზნაურობის საკუთრება გამხდარიყო, ამისათვის ქართულ გიმნაზიას ისინი აძლევდენ ფულს მხოლოდ იმ პირობით, რომ სადეპუტატო საკრებულოს მომავალ წლის 1 იანვრიდან ერთი გროში აღარ დაეხარჯა, სანამ საგანგებო კრება არ გადასწყვეტდა ამ საკითხს; ამავე დროს, მათის წინადადებით, სათ.-აზნ. ორგანოებს უნდა გამოეკვლიათ გიმნაზიის მდგომარეობა დაწვრილებით და განზრახულ ცვლილების თანახმად მიეღოთ ზომები. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა მხოლოდ ორმა, დანარჩენმა დიდმა უმეტესობამ უარჰყო, მაგრამ ეს ასე მოხდა მხოლოდ იმიტომ ფარული კენჭისყრა არ იყო, თორემ ხსენებულ ჯგუფის თანამოაზრენი კიდევ აღმოჩნდებოდენ კრებაში; თუმცა, რა თქმა უნდა ლიბერალურ ელემენტებს რიცხვის მხრით არ გადააჭარბებდენ. საკითხის ასე დაბოლოება სხვათა შორის, მიეწერება შესანიშნავ სიტყვას კონსტ. აბხაზისას, რომელსაც კრების დიდმა უმეტესობამ დიდი ოვაცია გაუკეთა. ზემოხსენებულ ჯგუფს სათავად-აზნაურო გიმნაზიის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის საბაბად ისის მოჰყავდა, რომ გიმნაზიის საქმეები სასურველ მდგომარეობაში არ არისო. ჩვენის აზრით ასეთ ხმების გავრცელებაში არავინ არ არის დამნაშავე გარდა წინანდელ გამგე კომიტეტისა და პედაგოგიურ პერსონალის დირექტორითურთ. ამათ ვერ მოახერხეს ვერც სოლიდარული მუშაობა, ვერც თანხმობის შეტანა იმისთანა ძნელ საქმეში, როგორიც არის სწავლა-აღზრდის საქმე. ერთმანეთს ამტყუნებდენ კომიტეტი პედაგოგთა საბჭოს და დირექტორს, ეს უკანასკნელნი კი პირველს. ჩვენ არა გვსურს ამ კინკლაობაში და უსიამოვნებაში ჩარევა, მხოლოდ არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ უთანხმოება არსებობს თვით პედაგოგთა შორის და ეს არის უმთავრესი სამწუხარო მოვლენა. ეს საბჭო უნდა წარმოადგენდეს ორგანიულ ერთეულს, რომელიც უნდა იყოს გამსჭვალული მინდობილ საქმისადმი სიყვარულით; ყოველსავე პირადობას, პატივ-მოყვარეობას, ცრუ თავმოყვარეობას და ქიშპს აქ არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ახლა კი ასეთ სასიამოვნო სურათს ვერ ვხედავთ.

პედაგოგიურმა საბჭომ კომიტეტში იმისთანა წევრის ყოფნითაც კი ვერ ისარგებლა, როგორიც იყო პატივცემული გ. ყაზბეგი, რომელმაც სამწუხაროდ თავი სრულებით დაანება კომიტეტს. ახლა კომიტეტი განახლდა წევრთა მხრით, ისეთი პირები, რომელთაც აბრალებდენ პედაგოგებს დირექტორითურთ საქმის გაფუჭებას, აღარ მოჰყვენ კომიტეტში. მაშასადამე ახლა მაინც, როდესაც განახლებულ კომიტეტს თავში უდგება გუბერნიის მარშალი კონსტ. აბხაზი, ახლა მაინც დამყარდება დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა და წესიერება გიმნაზიის საქმეთა მსვლელობაში. კომიტეტმა უნდა ენერგიულად და რადიკალურად მოჰკიდოს ხელი მართვა-გამგეობის საქმის გამოწყობას და ააშოროს ამ ერთად-ერთს ეროვნულ სასწავლებელს ის მიზეზები და ის პირნი, თუ ასეთები მოიძებნებიან, რომელნიც აფერხებენ გიმნაზიის საქმეთა წესიერ მსვლელობას...

## ს.-დემოკრატია სომხის საკითხის შესახებ

დეპ. აკ. ჩხენკელმა დეპ. მიხ. პაპაჯანოვის საპასუხოდ სთქვა, სხვათა შორის, რომ მ. პაპაჯანოვმა მომაწერა, თითქო ოსმალეთში მცხოვრებ სომხების ჩაგვრაში მე ვამტყუნებდე თვით სომხებს, მაგრამ ეს ხომ იგივე იქნებოდა, მე რომ ებრაელების დარბევა-ჟლეტაში რუსეთში გამემტყუნებინა თვით ებრაელები. ეს სასაცილოა. იქ ოსმალეთში გასამტყუნი სწორედ ის ელემენტებია, რომელთაც აქ ვამტყუნებთ: ორივე ქვეყნის მთავრობა. თვით მ. პაპაჯანოვმა სთქვა, რომ ქურთების და სომხების სიძულვილში ქურთების ფართო წრეები არაფერს შუაშია, რომ ისინი აქტიურ როლს არ თამაშობენო. მე ვეთანხმები, რომ ეს წრეები არაფერს შუაში არიან სომხების დამონების საქმეში, რომ მთავარ როლს თამაშობს ოსმალეთის მთავრობა და საზოგადოდ გაბატონებული კლასები, რომელნიც ბინადრობენ ოსმალეთში.. რუსის დიპლომატიამ ოსმალეთის სომხეთისათვის რეფორმების მოპოების დროს შექმნა მეორე მაკედონია... როგორც ნამდვილ მაკედონიიდან ჩვენ ვერაფერი კეთილი შედეგი მივიღეთ, ისე იმ მაკედონიიდანაც არაფერს კარგს მივიღებთ, რომელსაც ჰქმნიან ახლა ოსმალეთში. ის დაჰბადავს იმავე ქიშპს და იმავე სისხლისღვრას. წააგებს, რასაკვირველია, მარტო მასსა, რომელიც სისხლს ჰღვრის, მოიგებენ მხოლოდ გაბატონებული კლასები ყველა ეროვნებისა. მ. პაპაჯანოვმა სთქვა ისიც, რომ ჩემი წინანდელი ნათქვამი დაადასტურა დეპ. მარკოვ-მეორემ. მე ვამბობდი, არ შეიძლება კეთილი განწყობილება მოიპოვო მეზობლებთან, რომელნიც გვერდით გვყავს, როგორც, მაგ., ოსმალეთში ქურთებთან და ოსმალოებთან, როდესაც ეძიებ გარეშე სახელმწიფოთა ჩარევას... (**მარკოვ მეორე**: სრული სიმართლეა!) სწორედ ასეთივე მდგომარეობაა კავკასიაში: კავკასიის ყველა ერები დაჩაგრულნი არიან. რომ თავისუფლება უფრო მოვიპოვოთ, ჩვენ გარეშეთა ჩარევას კი არ ვიწვევთ, არამედ თვით რუსის ხალხის მშრომელ მასსასთან ერთად ვიბრძვით". ა. ჩხენკელმა სთქვა, ვებრძვით მათ, ვინც ჩვენ გვჩაგრავსო.

აი სწორედ ეს შეხედულება—განაგრძო ა. ჩხენკელმა,—უნდა დამყარდეს იქ, ოსმალეთში. ამ შეხედულებას ვეგებები სალამით. ამაზე ლაპარაკობდა დეპ. ჯაფაროვიც. სწორედ ქურთებმა, ოსმალოებმა და სომხებმა, რომელნიც ბინადრობენ იქაურ სომხეთში, ერთად უნდა იბრძოლონ ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ ამისათვის არ ვარგა საკითხის ისე დაყენება, თითქო საზოგადოდ მთელი სომხის ხალხი დაუწყებს ომს ან ოსმალოს ერს, ან ქურთის ხალხს.

არა! მშრომელი მასსა ყველა ამ ერების უნდა შეერთდეს და საერთო იერიშით დაიწყოს ბრძოლა. რბევა იყო არა მარტო იქ, არამედ ჩვენშიაც, კავკასიაში—სომეხ-თათრის ჟლეტა, მერე ვისი გამოწვეული იყო? იქაური რბევა-ოსმალეთის მთავრობისაგან (**მარჯვნივ ხმა**: რას ლაპარაკობს?.. **ჩხეიძე** თავის სკამიდან: თუ ღმერთი გრწამთ, ნუ გიკვირთ, ეს ამბავი თქვენ კარგად იცით...) მიხ. პაპაჯანოვმა დაუწყო კრიტიკა გარეშე საქმეთა სამინისტროს მოქმედებას და სთქვა, რომ ჯერ ჰფიქრობდენ მიეცათ ოსმალეთის სომხეთისათვის ნამდვილი რეფორმები, მაგრამ ბოლოს მისცეს „შეკვეცილი"... დიაღ! ბ. პაპაჯანოვო, იმათგან (ხელს უშვერს მინისტრების სკამებზე) „შეკვეცილ რეფორმების" მეტს სხვას არასფერს არ მიიღებთ. გამოვსთქვამ კიდეც ეჭვს, მიიღებთ კი ამ „შეკვეცილ რეფორმებსაც"... მანვე სთქვა, თითქო მე, ჩხენკელმა, არა ვიცოდე რა კავკასიისა. ჩხენკელი დაიბადა კავკასიაში, ჩხენკელმა იცის ყველაფერი, რაც ხდება კავკასიაში, ჩხენკელმა იცის ისიც, რომ მას აქვს მანდატი ყარსის და ბათუმის ოლქების სომეხ გლეხებისაგან, სომხის გლეხებს ჰქონდათ ლაპარაკი დეპუტატ ჩხენკელთან იმ სიტყვის გამო, რომელიც მან წარმოსთქვა შარშან და ეს სიტყვა დაადასტურეს თვით ამ სომხის გლეხებმა.

შემდეგ ა. ჩხენკელმა სთქვა, რომ ის სიხარულით ეგებება მიხ. პაპაჯანოვის ნათქვამს, რომ სომხებს სრულებით არ სურთ შეუერთონ ოსმალეთის სომხეთი რუსეთს. ა. ჩხენკელმა აღნიშნა კიდევ, რომ ამაში ის სომხებს კი არ ამტყუნებდა, არამედ რუსის ბიუროკრატიას, თუ ომი არ მოხდა, ამის შესახებ ჰკითხეთ სანდერსის მისსიას სტამბოლში და გერმანიას, გერმანიის პროლეტარიატს და მუშათა კლასს კი არა, არამედ გერმანიის მთავრობასაო.

მერე აკ. ჩხენკელმა აღნიშნა მიხ. პაპაჯანოვი მამტყუნებს, ვითომ მე კეთილად არ ვეპყრობოდე სომხებსა. თუ მას ნამდვილად უცხოვრია კავკასიაში, იქ დაბადებულა და იცნობს ქართველ ხალხს, მას არ შეუძლია დასწამოს ქართველ სოციალ-დემოკრატიას, თითქო იგი კეთილად არ ეპყრობოდეს სხვა ერთა, ეს ისეთი უაზრობაა, რომ არ ვთვლი პასუხის ღირსად. (**დიდი ტაშისკვრა მარცხნივ**). მე მხოლოდ გაგახსენებთ სომეხ-თათრის ჟლეტას. როდესაც თბილისში ერთის მხრით იდგენ სომხები, მეორეს მხრით—თათრები და ელოდენ ომის დაწყებას, ვინ იდგენ შუაგულში? იდგენ ქართველები და ქართველი ს.-დემოკრატია. როცა ტყვია ზუზუნებდა, ჩვენი ამხანაგები იხოცებოდენ. ეს ყველაფერი დაივიწყეთ თქვენ, ბ. პაპაჯანოვო. უნდა დავასკვნა, რომ ბ. პაპაჯანოვი ვითომ სომხის ხალხის ინტერესების დაცვის დროს, იცავდა სომხის სამღვდელოების და ბურჟუაზიის ინტერესებს. ჩვენ ვებრძვით როგორც ჩვენს ქართველ ბურჟუაზიას და

თავად-აზნაურობას, ისე სომხის სამღვდელოებას და ბურჟუაზიას.

ამის შემდეგ დეპ. ჩხენკელმა დაახასიათა ორპოფი პოზიცია კავკასიის მთავრობისა ამ საშინელ დროს. ხელმეორედ აღნიშნა, რომ პაპაჯანოვის გამოსვლა იყო წმინდა ნაციონალისტური, რომ იგი ემყარება სომხის ერის სამღვდელოებას და ბურჟუაზიას და ამიტომ ნება არა აქვს ილაპარაკოს მთელი სომხის ხალხის სახელით. „ამ სომხის ხალხის აზრი — სთქვა აკ. ჩხენკელმა,—მე კარგად ვიცი, მას ანგარიშს ვუწევ და ჩემს მოვალეობად ვსთვლი ჩემის გულით დავიცვა ინტერესები არა მარტო ჩემის ხალხისა, არამედ სომხის ერისაც, რადგანაც, ს.-დემოკრატია გარდა იმისა, რომ სოციალისტურია, იგი ამასთანავე ინტერნაციონალურია. აკ. ჩხენკელმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ კავკასიის ოფიციალურ ზეიმებში იღებს მონაწილეობას მხოლოდ სომხის ბურჟუაზია და ქართველი თავად-აზნაურობა და ამათი აზრი ხომ მთელი მათი ხალხის აზრი არ არისო.

„იყო ერთი დრო — სთქვა აკ. ჩხენკელმა,—როდესაც სომხის ყოვლის შემძლე ბურჟუაზია ცილინდრებით თავზე მოდიოდა ნაჰალადევში, სადაც ჩვენ განვმგებლობდით და როდესაც ქართველი თავად-აზნაურობა უკაცრაული პასუხია ელაქუცებოდა იმათ, ვისაც წინააღმდეგ ახლა გაილაშქრეთ, თქვენ, ბ. პაპაჯანოვო“...

**ს.-დემოკრატმა დეპ. სკობელევმა** სთქვა, თავის მხრით, მ. პაპაჯანოვის მიმართ:

„მ. პაპაჯანოვმა ქებათა-ქება უძღვნა რუსეთის დიპლომატიას, ხოტბა შეასხა რუსეთს. მე მეგონა, რომ ეს მოქცეულია ისტორიულ პერსპექტივაში, და რომ ეს ქებათა-ქება დღევანდელ რუსეთისა არ არის... მე გამახსენდა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც კავკასიაში, კერძოდ ბაქოში, მოხდა სამწუხარო ამბავი. შიშმა შემიპყრო, რომ ამ ამბებსაც აქცევს ბ. პაპაჯანოვი ამ პერსპექტივაშივე. თუ მ. პაპაჯანოვი და მისი მეგობრები ხოტბას ასხავენ მაშინაც იმ რუსეთს, რომელსაც დღეს აქებენ, მაშინ სად არის მიზეზი სომეხ-თათრის საშინელი ჟლეტისა? ნუ თუ თქვენ მაშინ გსურდათ, ან იქნება ახლაც გსურთ, გაამტყუნოთ ამაში მაჰმადიანთა მასსა? თუ არა გსურთ, მაშინ თქვენ ხოტბა არ შეგისხავთ რუსეთისათვის, მაშასადამე თქვენ ან პირმოთნეობთ ხოტბის-შესხმის დროს, ანდა უნდა სთქვათ პირდაპირ, რომ არსებობს ორი რუსეთი . . . . . . . . . . .

. . . . . . . . .

1904 და 1905 წლ. ამბები არ უნდა ავიწყდებოდეს არც ერთ სომეხს, არც ერთ მაჰმადიანს და არც ერთ ქართველს, რომელიც გამოდის ამ ტრიბუნაზე და მიმართავს კავკასიის მკვიდრთ. იმ დროსაც სომხის, მაჰმადიანის და ქართველ მშრომელ მასსათა შორის განწყობილება არ იყო უფრო უარესი, ვიდრე ახლა.

ახლანდელ ნაციონალისტურ, შოვინისტურ წასისინებაშიაც, რომელიც ასტყდა კავკასიის პოლიტეხნიკუმის გარშემო სომხის და ქართველ ნაციონალისტურ წრეებში, არც სომხის და არც ქართველი მასსა არაფერს შუაშია. და თუ აქ დეპ. პაპაჯანოვს ეგონა, რომ მას უფლება აქვს ილაპარაკოს სომხის სახელით მხოლოდ იმიტომ, რომ ის სომეხია, მაზე ადვილია პასუხის მიცემა: არავინ, არც ერთი ეროვნება რუსეთში არ სთვლის დეპ. მარკოვ-მეორეს რუსის ხალხის წარმომადგენლად მხოლოდ იმიტომ, რომ ის რუსის ეროვნებისაა. (**ხმა მარცხნივ**: „სიმართლეა!“ მარკოვ მეორე ადგილიდან: „სცდებით, თვითონ ჩემს თავს ვთვლი!“) და თუ შესაძლებელია როგორმე აიხსნას დეპ. პაპაჯანოვის გამოსვლა, ეს მხოლოდ ამ შეხედულებით: აქ, ცხადია, ლაპარაკობდა სომხის ხალხის წარმომადგენელი კი არა, არამედ დიპლომატი ეჩმიაძინისა. საინტერესოა ვიცოდეთ მხოლოდ, რა აქვს საერთო ამ გამოსვლას კადეტთა ფრაქციასთან, რომლის წევრად ითვლება ბ, პაპაჯანოვი... (დიდი ტაშისკვრა მარცხნივ)“...

მეორე რუსეთი კი,— დეპ. სკობელევის სიტყვით,—რომელსაც არ დაუღვრია სომხის სისხლი და არც გაუხდია სომხის მასსა დიპლომატიის ქსელის საგნად, რომლისადმი სომხის მასსის განყოფილებაში ავი არავის შეუტანია, ეს რუსეთი კი და სომხის მასსაც არ საჭიროებენ თავის მპატიის გამოწვევას ამ რუსეთისადმი.

„მე სრულიად ვიზიარებ,—დასძინა დეპ. სკობელევმა,— ჩემი ამხანაგის ჩხენკელის აზრს, რომ ამგვარ გამოსვლას, რომელიც მოახდინა დეპ. პაპაჯანოვმა, შეუძლია ვნება მოუტანოს ადგილობრივ ცხოვრებას კავკასიაში. მრავალეროვანმა ხალხმა უკვე ერთხელ გამოსცადა, რას ნიშნავს ნაციონალური შოვინიზმი“...

---

ექვთ. თაყაიშვილის სიტყვა ალ. სარაჯიშვილის დასაფლავების დროს

ძმაო ალექსანდრე! ს ჩუმე გიყვარდა და სიჩუმე სუფევს შენს დასაფლავებაზე. წყნარი იყავი და წყნარად მიდიხარ სამარეში. შენ მიერ ნაამაგევი „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ უკანასკნელად გეთხოვება. ეს ჩვენი გამოთხოვება ვერ დაარღვევს იმ მყუდროებას, რომელიც აქ ახლა შენს გარშემო სუფევს. შენს სიცოცხლეში შენი ღვაწლი არავის დაუფასებია, ეხლა მაინც ნება გვქონდეს ორიოდე სიტყვით, სულ მოკლედ, აღვნიშნოთ ვინ დავკარგეთ, ვის ვეთხოვებით. შენის სიკვდილით ქართველ საზოგადოებას მოაკლდა უდიდესი გულშემატკივარი, თავის წვლილის შემტანელი საზოგადო და საეროვნო საქმეში, მოაკლდა ადამიანი მტკიცე ხასიათის მქონე, სპეტაკი ზნეობის პატრონი, ჩუმი, მაგრამ მედგარი მუშაკი საზოგადო საქმისა კერძოდ ჩვენს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას მოგვაკლდი ბურჯი, რომელზედაც დამყარებული იყო ამ საზოგადოების წარმატება. აწ შენ აღარავის შეაწუხებ საწევრო ფულის მოთხოვნით, აღარავის შეხვდები მუზეუმში თავის ღმობიერი ღიმილით, აღარავის უჩვენებ თავისებური ალერსით შენ მიერ ხელოვნურად დაკიდულს სურათებს, აღარავის აუხსნი შენ მიერ დალაგებულის ნივთების მნიშვნელობას. აღარა გვყავხარ ადამიანი, რომელიც თავს დასტრიალებდი ამ ჩვენს ნორჩს საზოგადოებას, რომელიც დღე და ღამ ამ საზოგადოების კეთილ დღეობაზე ზრუნავდი, ამ საზოგადოებაზე ფიქრობდი და მისი წარმატება გაგეხადა თავის მოწამსად, თავის მისწრაფებად, თავის იდეალად. მერმე რა დროს გვიმუხთლა ბედმა? რა დროს მოგვაშორა შენი თავი? სწორედ იმ დროს, როდესაც მუზეუმი დღითი დღე ზრდაშია, როდესაც მუზეუმის შენობის საკითხი კარზე გვაწევს, როდესაც დავით სარაჯიშვილის ანდერძის საქმე არ დაგვამთავრებია და როდესაც ყველაზე უფრო გვესაჭიროებოდა შენისთანა გამოცდილი, შენისთანა პრაქტიკის მქონე, მუყაითი და უანგარო მუშაკი. მაგრამ „ბედი უბედო ჩვენზედა, ხომ, არ ახალია, ძველია!“ შენ მით განირჩეოდი სხვებისაგან, რომ სახელისათვის არ შრომობდი, შენ მხოლოდ მოვალეობა გამუშავებდა, შენ ყოველთვის თვით საქმე გქონდა მიზნათ და არა თავმოყვარეობა. შ ნვან არავის სმენია ქართული „მე“, შენ შენს პირადობას ყოველთვის მალავდი, შენ კარგად შეგნებული გქონდა, რომ იქ, სადაც ყველა ბელადობს და ჯარის კაცი არ არის, საქმე არ გაკეთდება. სიძლიერე ჩვეულებრივს საერთო გულწრფელს მუშაობაშია. დიაღ, სახელს არ ეძებდი, მაგრამ სახელი კი მოიხვეჭე და შენი სახელი და ხსოვნა უკვდავი იქნება, სანამდის არსებობს შენ მიერ სულჩადგმული ქართული მუზეუმი. მშვიდობით, ჩემო გულითადო ამხანაგო, პატიოსანო ადამიანო, კაცურო კაცო, მხნეო მუშაკო და ღირსეულო მამულიშვილო!

მშვიდობით!



# † ალექსანდრე სარაჯიშვილი

ალ. ივ. სარაჯიშვილი დაიბადა 1851 წელს. დაასრულა ტფილისის გიმნაზია, შემდეგ შევიდა უნივერსიტეტში იურიდიულ ნაწილზე. პირველ კურსიდანვე გამოვიდა და წავიდა ჟენევაში. საზღვარგარეთიდან ჩამოსვლისთანავე 1872 წ. შევიდა სახელმწიფო სამსახურში, რომელიც დაიწყო მეფისნაცვლის მთავარგამგეობაში. 1885 წლიდან 1894 წლამდე მსახურობდა დალიტნის ოლქის სამმართველოში. 1894 წელს დაინიშნა განჯის გუბერნატორის კანცელარიის მმართველად. 1896 წელს კი ა. სარაჯიშვილი დანიშნეს განჯის საგუბერნიო მმართველობის მრჩეველ-წევრად. სამსახურს თავი დაანება 1901 წ. და მთლად მიეცა საზოგადო საქმეს, რომლისადმი მიდრეკილება თან დაყოლილი ჰქონდა. თუმცა სამსახურში იყო, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლიდა თავის ვალი მოეხადა ეროვნულ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა წინაშე. 1879 წლიდან 1885 წლის 15 მაისამდე წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრად იყო. მწერლობაშიაც დიდ მონაწილეობას ღებულობდა. ჯერ კიდევ გაზ. „დროებაში“ ს. მესხის დროს სწერდა კრიტიკულ წერილებს. 1884 წ. ილიასა და პეტრე უმიკაშვილთან ერთად მან დაბეჭდა „ვისრამიანი“, დაურთო მას წინასიტყვაობა და ვარიანტები: 1895—1901 წლ. ჟურნ. „მოამბეში“ მოათავსა საყურადღებო გამოკვლევა „ვეფხის-ტყაოსნის ყალბი ადგილები“. 1901 წ.—1902 წ., როდესაც გაზ. „ივერია“ ილიასაგან ცალკე ამხანაგობამ შეიძინა, ალ. სარაჯიშვილი მოიწვიეს რედაქტორად.

უკანასკნელ ხანს მთელ თავის დროს ანდომებდა ქართ. მუზეუმის მოწყობას. იგი იყო „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ერთი დამაარსებელთაგანი— და 1907 წლ. 20 სექტემბრიდან (დღიდან საზოგადოების დაარსებისა) მას ირჩევდენ საბჭოს წევრ-ხაზინადრად. საბჭომ შემდეგ დაავალა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გამგებლობაც როგორც ხაზინადარი იგი ზრუნავდა ხელ შეუხებელ თანხის დასაარსებლად, რომ უზრუნველ ყოფილიყო ხსენებულ საზოგადოების და მუზეუმის ბედი.

1911 წელს საზოგადოებ ს თავმჯდომარე ექვთ. თაყაიშვილთან ერთად განსვენებულმა მოიარა ქართლ-კახეთი, შეჰკრიბა დიდძალი ძველი ნივთი, ხელნაწერი, სიგელ-გუჯარი და ძველი ნაბეჭდი წიგნი. იმდენად მუყაითი იყო თავის საქმეში, რომ ასე გასინჯეთ, საწევრო ფულსაც თვითონ აგროვებდა.

განსვენებული წინად „რიშ ბაბას“ ფსევდონიმით ჰბეჭდავდა პატარა ფელეტონებს და სხვა წერილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, სხვათა შორის, ჩვენს გაზეთშიაც. უკანასკნელ დროს კი უფრო ხშირად ათავსებდა წერილებს ჟურნალ „კლდეში“, სადაც 20, 21 და 22 ნომრებში დაიბეჭდა მეტად საყურადღებო გამოკვლევა „თავადიშვილის მეურნეობა ამ ასი წლის წინად“.

ალექსანდრე სარაჯიშვილი იყო ყოვლად მორიდებული ადამიანი, დიდი ფაქიზი ზნეობის კაცი. წარმოიდგინეთ, რომ არავინ შეეწუხებინა და არავინ ემსახურებინა თავისა და თავის ოჯახისათვის, მოსამსახურესაც არ იწვევდა. თვითონ და მის ოჯახის წევრები აკეთებდენ ყველაფერს. ეს თვისება მას დაჰყვა უეჭველად დედისაგან, რომელიც გერმანელი ქალია და რომელიც ახლაც ცოცხალია. ამითვე აიხსნება ის იშვიათი წესიერი ხასიათი და თავის სიტყვის პირწმინდად ასრულება, რომელიც შეადგენდა განსაკუთრებულ თვისებას ამ ყოვლად ღირსეულ ადამიანის და მოღვაწისა.

იგი იყო ჭეშმარიტი მოსაქმე. მას არ უყვარდა ყვირილი, კრებებზე ფართაში, არამედ უჩინრად, მშვიდად და მყუდროდ მუშაობა. ასეთივე იყო მისი დაკრძალვაც. დაესწრენ მხოლოდ ისინი, ვინც გულწრფელად პატივსა სცემდა და უყვარდა განსვენებული. ბევრს ცრემლი მოერია, როდესაც ექვთ. თაყაიშვილი, გულამღვრეული და თვალ-ცრემლიანი ესალმებოდა თავის დაუვიწყარ და დაუღალავ ამხანაგ-მუშაკს, რომელმაც ასე უდროოდ დაამხვა დიადი საქმე, ღირსეულ ქართველების-მიერ დაწყებული ამ მეოცე საუკუნეს დასაწყისში...

---

# კონსტანტინე მაყაშვილი

ამ დღეებში ჩვენმა რედაქციამ დასტამბა კონსტ. მაყაშვილის ლექსთა კრებული—„ლირიკა“. ამ წიგნში დაბეჭდილია ჩვენი სიმპატიური მწერლის შემდეგი ბიოგრაფიული ცნობები:

კონსტანტინე მაყაშვილი დაიბადა 13 ნოემბერს 1875 წ. სოფელ იყალთოში (თელავის მაზრაში). მისი მამა—თავ. ზაქარია (ზაქრიკო) მაყაშვილი იყო წვრილი მემამულე, ღარიბი, მაგრამ გამჭრიახე და გონიერი კაცი. თავს ეხვია ოჯახი, შემდგარი 10 სულისაგან. ის ძლივს აუდიოდა ამ დიდს ოჯახს. უბრალო მუშასავით დღე და ღამ დასტრიალებდა თავის პატარა მამულს.

უყვარდა ძველი ქართული მწერლობა... თავისუფალ დროს კითხვას ანდომებდა... კარგად უკრავდა თარზედ.

მწერლის დედა კი იყო აბელიშვილის ასული (სოფელ ოჟიოდან), მეტისმეტად გულკეთილი, ჩუმი, უწყინარი და გულჩვილი ადამიანი.

ნასწავლი არ იყო ე. ი. იმდროინდელად რომ ვსთარგმნოთ ეს ფრაზა—რუსული სრულებით არ იცოდა.

ქართული წერა და კითხვა კარგად ჰქონდა კოტეს შესწავლილი. ჰყავდა 4 და და 5 ძმა. კოტე ყველაზედ უმცროსი იყო. ორი თუ სამი წლისა იყო, რომ ერთი ძმა, რომელიც კიევის კორპუსში სწავლობდა, გარდაიცვალა. 5 წლისა შესრულებული იყო კოტე, როდესაც მამაც მოუკვდა. მცირე მამული უპატრონოდ დარჩა.

ოჯახი ჩავარდა გაჭირვებულ მდგომარეობაში. იმ დროს მისი ორი უფროსი ძმა სოლომონი და ილია იყვნენ სამხედრო სამსახურში ოფიცრებად ყარსის ოლქში, დაბა სარიყამიშში. უფროს ძმა სოლოსთან ერთად წაიყვანეს იგი იქ. უფროსი ძმები იმ დროს უცოლ-შვილონი იყვნენ. პატარაობიდანვე წასულთ ოჯახიდან იმათ თითქმის სრულებით ჰქონდათ დავიწყებული დედა-ენა. მათ სახლში გამეფებული იყო რუსული და არ გაუვლია ერთს წელიწადს, რომ კოტესაც სრულებით დაავიწყდა სამშობლო ენა. რუსული კი შეისწავლა მშვენივრად. შვიდის წლისა იყო, რომ სწერდა და სხაპა სხუპით ლაპარაკობდა და კითხულობდა რუსულად

სარიყამიშში ორის წლის ყოფნის შემდეგ კოტე წაიყვანეს ალექსანდრეპოლს (გუმბრს), სადაც გადაიყვანეს მისი უფროსი ძმა სოლომონი. ამ ქალაქში ყოფნის დროსაც ქართული სიტყვა იშვიათად ესმოდა.

იმ ჟამად კოტე მეტად ცელქი ბავშვი იყო... მისმა ონინებმა და, ნამეტნავად, ქვასროლიაობამ აამხედრა მის წინააღმდეგ მთელი ის უბანი, სადაც იდგა მისი ძმა.

კოტე აღგზნებულ ფანტაზიის პატრონი იყო, საშინლად უყვარდა კითხვა ზღაპრულის ხასიათის მოთხრობებისა და თხზვა ახირებულ ამბებისა. მისმა ცელქობამ იქამდე მიიყვანა, რომ ერთს მშვენიერ დღეს გაქანებულ ეტლს ქვეშ მოექცა. თავი ხუთ ადგილას საშინლად ჰქონდა დაჭრილი; რაღაც სასწაულით სიკვდილს გადურჩა.

8 წლისა იყო რომ ისევ სამშობლოში წამოიყვანეს. „არ დამავიწყდება დედაჩემთან შეხვედრის წუთი,—ამბობს ჩვენი მწერალი თავის პატარა ავტობიოგრაფიულ შენიშვნაში,—როდესაც სოფ. იყალთოს ჩამიყვანეს, წინ მომეგება დედა მთრთოლვარე, გახარებული... მაგრად, მაგრად ჩამიკრა გულში. მე გულ-გრილად დავხვდი ამ ამბავს. შევცქეროდი დედაკაცს, რომელიც დედაჩემი უნდა ყოფილიყო და რომელიც რაღაცას მეუბნებოდა ჩემთვის გაუგებარს ენაზედ. დედაჩემმა იგრძნო ესა. შეკრთა და ცრემლები წამოსცვივდა თვალთაგან.—ვაიმე შვილი გამირუსესო—წამოიძახა საწყალმა. ნაწყენი იყო დედა-ჩემი მით უმეტესად რომ მე, როგორც „ნაბოლარა“, მეტად ვუყვარდი“. დედა-მისს მშვენიერი ხმა ჰქონდა და საუცხოოდ მღეროდა ქართულ სიმღერებს.

„არ დამავიწყდება არას დროს,—ამბობს კ. მაყაშვილი იმავე შენიშვნაში,— იმისი ბაიათი „სიზმარში ვიყავ, მოფრინდა მტრედი“. ამ ბაიათის მსმენელნი ყოველთვის სტიროდნენ ხოლმე, ვსტიროდი მეც, თუმცა არ ვიცოდი რად... სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ მაინც ვსტიროდი!.. დედი-ჩემის ხმა ეხლაც შორეულ წარსულის გამოძახილივით ხშირად მესმის ხოლმე და გული მევსება უსაზღვრო სევდით“.

იყალთოში კოტე დარჩა რამდენსამე თვეს. ამ დროს გარდაეცვალა მას ქლექისაგან და ევგენია, რამაც დიდი მწუხარება გამოიწვია ოჯახში, დაალონა ძალიან კოტეც. შემდეგ დედამ გაგზავნა კოტე ტფილისს თავის ძმასთან, კიკო (ნიკოლოზ) აბულაშვილთან, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო ოფიცრად. ბიძა კიკო ძალიან ეხმარებოდა ყოველთვის თავის დას. კოტეს მომვლელ-პატრონად ეს უნდა ყოფილიყო. ბიძამისი, უცოლშვილო კაცი, ავლაბრის ბოლოში სცხოვრობდა თავის პატარა სახლში.

როდესაც სამსახურში ან სხვაგან სადმე წავიდოდა, რადგან იცოდა კოტეს გადამეტებული ცელქობა, ეზოს კარებს დაუკეტავდა ხოლმე, რომ ქუჩაში არ გავარდნილიყო.

„დავეხეტებოდი ხოლმე ეზოში ობლად,—ამბობს კოტე თავის თავზე, და, აი, პირველში აქ ვიგემე მოწყინების და მარტოობის შხამი“! ბიძამისს ერთს ოთახში რამდენიმე სკივრი ჰქონდა სავსე წიგნებით, სხვისგან მიბარებული. კოტემ გაალო ეს სკივრები და ხარბად დაეწაფა წიგნებს. ალბად, არც ერთი ინსტიტუტის მოწაფე-ქალი ისეთის გატაცებით არ ჰკითხულობდა რომანებს როგორც კოტე!.. დღე და ღამეს ასწორებდა ამ კითხვაში. რა არ იყო იქ? ჟურნალ „ნივა“-დან დაწყებული ტურგენევის მოთხრობა-რომანებამდე. გარდა ამისა, იქ იყო მრავალი რუსულად ნათარგმნი რომანი უცხოელ მწერლებისაც: ბალზაკის, ჟორჟ ზანდის, დიუმასი და სხვა.

ეს ყველაფერი მან შთანთქა შედარებით ცოტა ხანში. ასე გასინჯეთ, ისტორია კარამზინისაც კი რომანივით ჩაიკითხა. რა თქმა უნდა, ბევრი რამ წაკითხულიდან არ ესმოდა, მაგრამ ეს გარემოება მაინც არ აბრკოლებდა და კითხვას განაგრძობდა.

სხვა რა უნდა ექნა ჩაკეტილს ოთახსა და ეზოში?!

ამდენმა კითხვამ, ნამეტნავად სანტიმენტალურ რომანებისამ, კოტეს მწერლობის სიღრღელი აუშალა. ცხრა წლისა იყო, როდესაც დასწერა პირველი ლექსი, რასაკვირველია, რუსულად და წაუკითხა თავის დეიდაშვილს ნიკო ჯანდიერს (ეხლა ექიმია სიღნაღში). ამ ლექსს მოჰყვა სხვები. ქართული ჯერ კიდევ არ იცოდა. მას გიმნაზიისათვის ამზადებდნენ. ათის წლისა გახდა თუ არა, გიმნაზიის ნაცვლად ბიძამისმა მიაბარა სათავად აზნაურო სკოლის პირველ კლასში. ამ სკოლაშიაც კოტე დაეწაფა რუსულ წიგნებს, რომელნიც საკმაოდ მოიპოებოდა ბიბლიოთეკაში. მაინ-რიდი, ვალტერ-სკოტი, ებერსი და სხვ.—აი ის მწერლები, რომელნიც იზიდავდენ მის ყურადღებას. ლექსების წერას (რუსულად) უმატა და თითქმის ყველა ამხანაგს უძღვნიდა თითო ლექსს. ამ დროს ქართულ წიგნებს თითქმის არ კითხულობდა. მის მასწავლებლებს ფიქრადაც არ მოსდიოდათ ქართული ესწავლებინათ მისთვის. პირიქით მათ უხაროდათ, რომ კოტე მთელს სკოლაში ყველაზე კარგი მცოდნე იყო რუსულისა და ამაყობდნენ კიდეც ამითი სალიტერატურო სალამოებზედ, სადაც წმინდა რუსულის კილოთი კითხულობდა კოტე კრილოვის, პუშკინის, ლერმონტოვის და გონჩაროვის თხზულებათ.

„ერთ ერთს სალამოზედ ყოფილი მზრუნველი იანოვსკი ისეთ აღტაცებაში მოვიყვანე,—ამბობს მწარედ თვით მწერალი,—რომ დამიძახა და შუბლი დამიდალა თავისი ამბორით. აი ამ გარემოებამ ხელი შემიშალა აქ მაინც მესწავლა ხეირიანად დედა-ენაო“. ორი წელიწადი დაჰყო კოტემ სკოლაში: პირველ შეგირდთა რიცხვში ითვლებოდა. დიდი წარმატება დაეტყო მას რუსულის ცოდნაში!..

ამ ხნის განმავლობაში გარდაეცვალა მას და ბარბარე და დედა. მძიმე, მეტად მძიმე იყო მისთვის მათი სიკვდილი!

მეორე კლასის დასრულების შემდეგ კოტე გადავიდა მეორე კლასიკურ გიმნაზიაში, მესამე კლასში. ისევ თავის ბიძასთან იდგა. ამ დროს გარდაეცვალა მესამე და ანიკო, რომელსაც აღმერთებდა. აი როგორა აქვს აწერილი თვით მწერალს ამ ამბის შთაბეჭდილება. „როდესაც მისი სიკვდილის ამბავი გავიგე, გულშეწუხებულივით ვიყავ, მერე ისეთმა რისხვამ ამიტანა, რომ ფეხიდან წაღა წავიძრე და ხატს ვესროლე ისტერიულის ყვირილით: „რა ჰქენი ეგ, უსამართლო, დღე-და-ღამ მუხლ-მოდრეკით ვლოცულობდი იმ ს განკურნებისთვის და ეს იყო შედეგი ლოცვისა? .“ ამ დის შემდეგ ამ სოფლად არავინ დამრჩა გულშემატკივარი, ძლიერის სიმწვავით ვიგრძენ ობლობა .. ეს გრძნობა სამუდამოდ ჩამრჩა გულში... იგი იქცა ჩემ მეორე „მედ“ ამას ბოლოს ისიც დაერთო, რომ მე ბიძა-ჩემს არ მოვეწონე, დავანებე იმას თავი... აქედან იწყება მწუხარე ფურცელი ჩემის ცხოვრებისა... იწყება ულმობელი ბრძოლა არსებობისათვის... გაკვეთილებით ძლივს ვირჩენ თავს. ნახევრად მშიერი დავიარები გიმნაზიაში... ცელქი და მხიარული ბავშვი დაღვრემილ, გულდახურულ ყრმად ვიქეცი... ბევრჯერ უკიდურეს მდგომარეობამდინ მისულს თავის მოკვლაც განმიზრახავს, მაგრამ სისრ... მომიყვანია ალბად იმიტომ, რომ რაც უნდა იყოს ს... ლიაო, ნათქვამია. ამ გაჭ... დიდს დახმარებას უფრო კი ზნეობრ... მაწეოდა ჩემი საუკეთესო მეგობრის გ... ორგი (ჟორჟ) ნათიშვილის ოჯახი... ჩემი მეოთხე და თამარ თარხნიშვილის... საყმაწვილო მოთხრობათა მწერალი. სწავლა არ მიძნელდებოდა. გიმნაზიაში... რუსულის საუკეთესო მცოდნედ ვიი... ვლებოდი, ვსწერდი ლექსებს და პო... მებს ქართული ისევ ისე არ ვიცოდ... და თუ ვიცოდი რამე, ისიც ისე, რო... არ-ცოდნა უკეთესი იქნებოდა“.

1895 წ. გაათავა კოტემ გიმნაზია... პეტერბურგს გაემგზავრა. დიდის დავ... დარაბის შემდეგ. თავად-აზნაურობამ დაუ... ნიშნა სტიპენდია 20 მან. თვეში. უნი... ვერსიტეტში აირჩია იურიდიული ფაკულ... ტეტი. და, აი, იქ, შორეულ პეტერ... ბურგში, შეუდგა კოტე ქართულის შეს... წავლას .. დაიწყო კითხვა „დაბადებისა“ სახარებისა, წაიკითხა აგრეთვე „ვისრა... მიანი“ და სხვა...

ბევრი დრო და ენერგია მოანდო... ამას... იურიდიული ფაკულტეტი რო... გაათავა, შევიდა აღმოსავლეთის ფაკულ... ტეტზედ, რათა უკედ შეესწავლა ქარ... თული, და ქართულთან ერთად სპარ... სული და არაბული, . მაგრამ აქ მოუ... წრო სტუდენტთა არეულობამ.. კოტ... მიიღო მონაწილეობა, რისთვისაც დაი... ხოვეს უნივერსიტეტიდან. „შემრჩა მხ... ლოდ იურისტის დიპლომი“—დასძენს... თავის თავის შესახებ ხსენებულ შენიშვნაში. სამშობლოში დაბრუნებისას ... ერთო ასული ჩვენი მწერალ-ქალის ეკ... ტერინე გაბაშვილისა, თამარი, და შ... ვიდა ქართულ გიმნაზიაში მასწავლებელ... აღმზრდელად. აქ თავისუფალ დროს სა... შობლო ლიტერატურის შესწავლას ა... დომებდა.

1903 წ. კ. მაყაშვილი აირჩიეს დ... ფასებლად სათავად-აზნაურო ბანკში, დეპუტატად თელავის მაზრიდან სათავა... აზნაურო დაწესებულებაში.

მას შემდეგ კ. მაყაშვილი გულმხ... ვალე მონაწილეობას იღებს თითქმ... ლა ჩვენი საზოგადო საქმესა და ... ბულებაში. ითვლება მიუდგომელ... დინჯ მობაასედ. დიდი ღვაწლი ... სამშობლო ლიტერატურას სათავად-... ნაურო დაწესებულებასთან განსაკუთრე... ბულ ფონდის დაარსებით, რომელიც დახმარებას უწევს მიმართულების განურჩევლად ყველა იმ ხელ-მოკლე ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელმაც თავი იჩინ... მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნე... ბის და მუსიკის დარგში და რომელსაც განათლების დამთავრება ეჭირვება.

კ. მაყაშვილს, გარდა ლირიკული ნაწარმოებისა, აქვს აგრეთვე დაწერილი სატირიკული თხზულებანი.

ჯერ კიდევ იგი ჯან-ღონით სავსეა და, უეჭველია, მრავალ თვალ-საჩინო განძს შესძენს სამშობლო ლიტერატურას...

# ახალი ამბები

ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს მეტად სამწუხარო მოულოდნელ ამბავს: ციმბირში გარდაიცვალა საუკეთესო ადამიანი, ხალხის ერთგული მეგობარი; მშრომელთა ინტერესების მედგარი დამცველი ახალგაზრდა მწერალი **მელიტონ გოგზეჩია**.

მისი ცხოვრების და მუშაობის შესახებ წერილები დაისტამბება შემდეგ ნომერში.

---

გუშინ შუადღისას ქართ. თეატრში ... იხსნა ქართ. სცენის მოღვაწეთა პირვე... ლი ყრილობა. საპატიო თავმჯდომარე აირჩიეს აკაკი. თავმჯდომარედ აირჩიე... გ. ლასხიშვილი აგრეთვე თავმჯდომარის ... ამხანაგი: იოსებ ბარათაშვილი, ალ. კრი... ნიცკი, ვლ. მესხიშვილი, კიტა აბაშიძე... მდივნებათ: შალვა დადიანი, ს. ჰანტუ... რიშვილი. ი. იმედაშვილი, კ. ანდრო... ნიკაშვილი, და ს. რომანიშვილი. კრებ... მიესალმენ დრამ. საზ. თავმჯდომარენი, ერისთავი, საორგანიზაციო კომიტეტი... წევრი არჩ. ავალიშვილი, ი. იმედაშვი... ლი („თ. და ცხ.“) ალ. შანშიაშვილ... („სახ გაზ.“), პლ. ლეჟავა და ის. ჟარ... ზაშვილი (ქიათურის დრ. საზ. და წრე... დ. დუმბაძე („ზაკ. რ.“), დ. არაყიშვი... ლი, (მოსკოვის ქართვ. საზ.) ხარკოვ... სტუდენტების წარმომადგენელი, ... ტარუაშვილი (საგარეჯოს დრ. წრე... კიტა აბაშიძე მოვიდა ბევრი დეპეშ... ყრილობაში 100 მეტი წევრი ღებუ... ლობს მონაწილეობას.

სათათბიროს უკიდურეს-მემარცხენ... დეპუტატებმ თითო-თითო ხმო...

ართალში მათ საპარლამენტო და პარლამენტ-გარეშე მოქმედებისათვის. გაზ. „რუსკია ვედომოსტის“ ეს გარემოება აგონებს იმ მდგომარეობას, რომელიც იყო მეორე სათათბიროში, როდესაც პ. სტოლიპინის სამინისტრო ჯერ თითო-თითოს აძლევდა სამართალში ს.-დემოკრატ დეპუტატებს, მერე კი მოსთხოვა სათათბიროს გაეცა მთელი ს.-დემოკრატიული ფრაქცია. მოსკოვის გაზეთს ა-ქიროდ მიაჩნია, რომ მთელი სათათბირო გამოესარჩლოს სამართალში მიცემულ თავის წევრებს. მაგრამ შეგნებული კი აქვს ეს საშიში გარემოება ბიუროკრატიის ულღეურ ნაყოფს?!.

——

წლეულს 8 ნოემბერს საქართველოში გლეხთა განთავისუფლების 50 წლისთავს დღესასწაულობენ. ამ დღისათვის აპირებენ სახალხო წიგნაკის გამოცემას ქართულ, სომხურ და თათრულ ენაზე.

——

ჩვენმა ლექტორმა და კრიტიკოსმა გრ. რობაქიძემ გაათავა იურიდიული ნაწილი და მიიღო 1 ხარისხის დიპლომი. ეგზამენი დაიჭირა ყაზანის უნივერსიტეტში.

——

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ძმებმა ვლ. და გრ. ჯაფარიძეებმა ამას წინად შოთა რუსთაველის სურათი დახატეს. ამ სურათის კლიშე დაბეჭდილი გვქონდა შარშან სააღდგომო ნომერში. ამ ჟამად მათვე დახატეს მწერალ ალ. ყაზბეგის და კომპოზიტორ დ. არაყიშვილის სურათები. ეს სურათები გამოფენილია ჩვენს რედაქციაში.

——

სოფ. ვაშლოვანში ვაჭარმა სუმბატ სტეფანეს-ძე ტერ-არაქელოვმა სომხის საქველმოქმედო საზოგადოებას შესწირა სოფ. ვაშლოვანში (თბილ. მაზრა) თავისი ამული, რათა ენკენისთვეშივე გაიხსნას სომხის სკოლა. ამავე საქმეს შეჰპირდა ლდევ 300 მანათის წლიურ დახმარებას. კოლას ექნება სამეურნეო განყოფილებაც.

——

**კ. მაყაშვილის კრებულის დარიგება ამ კვირაში ვერ მოვახერხეთ, რადგანაც მისი გაყიდვა ბეჭდვითი კომიტეტის განსაკუთრებულ განკარგულებამდე შეჩერებულია.**

——

4 ივნისს გეოგრაფიულ საზოგადოებაში ცნობილმა კავკასიის მცოდნემ კარლევანმა წაიკითხა მოხსენება თავის მოგზაურობაზე ჩრდილოეთ ოსეთში. სხვათაშორის, მოიხსენია სოფ. ზარომაგი, რომ 50 ვერსტის მანძილზეა ალაგირიდან და მდებარეობს სამხედრო ოსეთის ზე. ეს გზა ხომ გაყვანილია ქუთაისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელად მამისონის უღელტეხილით. ბ. სთქვა, რომ სოფ. ზარომაგში დაცულია მრავალი ძველი ნაშთიო, მაგ. ის გარდმოცემით იქ დაკრძალულია ველი ბატონიშვილი გიორგი. მართ, იქ არსებობს საფლავი, რომელსაც ია ქვა ქართული წარწერით. სასურია, ჩვენმა საისტორიო საზოგადო მიაქციოს ამ ზაფხულშივე ამ ამ გამორკვევას ჯეროვანი ყურად-

——

ს მკითხველებს მოეხსენება, რომ წესთან რაჭაში სადაც ეგრედ წოი ხიდისკარია, ფრანგის კომპამართავს ელექტრო ჰიდრავლიკურ ს, რომლიდანაც ელექტრონის ა უნდა გადაიტანონ ჭიათურაში ბა გამართული ქარხანა შავი ქვის ანგანად გადასაკეთებლად ელექტალურგიულ საშუალებით. ახ კასიის სამადნო გამგეობას გაუგორი თვით თავის მარქშეიდერი საპიცკი საფრანგეთში კელერის ლეს ქარხანაში (ქ. გრენობლთან) ამ საქმის შესასწავლად.

## ტანგ ყარალაშვილის ხსოვნას

მარტს მოსკოვში თავი მოიკლა ზრდა მომღერალმა ვახტანგ ყარალმა. ამ მოულოდნელმა ამბავმა ი დასცა მის ნაცნობ-მეგობრებს. ელოდა მის სიცოცხლის ასე დასბას. განსვენებული ოთხი თვის ჩაი იყო მოსკოვში ხმის დასამუშად. ვისაც კი შემთხვევა ჰქონია მო მისი ხმა, ყველა ერთხმად აღია, რომ დიდი მომავალი ექნებოდა. ამბობს მისი მასწავლებელი, მუვის მეუღლე, როგორც გადმოგვ მოსკოვის გაზეთები, და აი ასეთ ის მომლოდინე, ახალგაზრდა, ნით სავსე, მატერიალურად თითუზრუნველყოფილი, მაინც ვერაა ილი ცხოვრებით და არჩევს სად კავშირი შესწყვიტოს საქაოსრა იყო ამის მიზეზი? ამაზედ გალი პასუხის მიცემა შეუძლებელია. ის, რა აწუხებდა და თუ ჩვენ, მები, ვერ ვამჩნევდით, ამის მიზეზი ახტანგის ყოველთვის მოღიმარი სახე.

ნგის უდროოდ გარდაცვალება პას იწვევს მის ნაცნობ-მეგობიმიტომ, რომ კარგი ადამიანი გამოესალმა წუთი სოფელს მწუხარებეს აორკეცებს ის აზრი, რომ ჩვენ ქართველებს ხელოვნების წმინდა მსახურნი ცოტანი გვყავნან, ჩვენთვის ძვირფასია ყოველივე ჭეშმარიტი ქურუმი ხელოვნების ტაძარში. ვახტანგს ამ ჭეშმარიტ ქურუმთა რიცხვში ყოველთვის საპატიო ალაგი ექნებოდა დათმობილი და გულს ღრღნის ის აზრი, რომ განგებამ არ აცალა ღვთისგან მიმადლებულ ნიჭის გაფურჩქვნა.

სტ. ბურთიკაშვილი.

## თბ. ქართულ გიმნაზიის შესახებ

ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წლიურ კრებაზედ პროფესორმა ი. ჯავახიშვილმა კრებას გაუზიარა თავისი დაკვირვება ქართველ სტუდენტობაზე და ბრძანა, რომ ანკეტის შემდეგ ნათლად დავინახე ჩვენი მომავალი-თაობის მიერ ქართულ ენის უცოდინარობა: არ შეუძლიათ ქართულად აზროვნება, გონებრივად გადაგვარებულნი არიან, საჭიროა ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქციონ როგორც თბილისისა, ისე ქუთაისის ქართულმა გიმნაზიებმაო.

მართლაც, ეს რომ ასეა — ყველასათვის დღესავით ნათელია. და აი ი. ჯავახიშვილის სიტყვამ ერთხელ კიდევ მოგვაგონა გავუზიაროთ მკითხველებს ჩვენი დაკვირვება ქართული ენის დაცემის მიზეზების შესახებ.

დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური პირობების მეოხებით ქართული ენის სწავლება ყოველ მხრივ შეზღუდულია. ყველა დარგის სასწავლებელში, საშუალოა იგი, თუ სამოქალაქო, გამეფებულია მთავრობის ერთგვარი იმპერიალისტური პოლიტიკა, რაიც მოწაფეთა მოქმედებას ფრთებს აკვეცს, რაღაც აუტანელ ატმოსფერასა ჰქმნის სასწავლებელში, და მოწაფეთა შორის აპატიასა ჰბადებს. ამგვარი სამოსწავლო სისტემა მომაკვდინებელი ცოდვაა. მოწაფეებში ჰკლავს რწმენას, ინტერესს, მისწრაფებას და მით სასოწარკვეთილებაში აგდებს.

ამრიგად ქართველ მოწაფეთათვის განსაკუთრებული და განსაზღვრული პირობებია შექმნილი სასწავლებლებში. ამას ზედ დავუმატოთ კიდევ უუფლებობა ქართული ენისა და ყველა ქართველ დაწესებულებათა და მაშინ ცხადლივ წარმოვიდგენთ ქართული ენის დაცემის მიზეზებს, რომელიც სავალალო მდგომარეობაში აყენებს ქართველ მოწაფეთ და მძიმე ხუნდებით ჰბორკავს მათი შრომის უნარსა და ენერგიას.

მთავრობის მოხელეთა წყალობით ყველაფერი რუსულადაა მონათლული; მთავრობის კლასიკურ გიმნაზიაში ხომ უკანა პლანზეა დაყენებული ქართული ენის სწავლების საქმე და ახლო მომავალში სრულიად განდევნითაც გვემუქრებიან.

ერთად-ერთი ადგილი გიმნაზიის გარეშე, სადაც ბავშვს შეეძლო გაეგონა დედა-ენა, ეს არის ჩვენი ოჯახი და საუბედუროდ ამასაც მოკლებულნი ვართ დამახინჯებულ „ქართველ დედის“ წყალობით. მთავრობის გიმნაზიაში აღზრდილი ქართველი ქალი ოჯახსა შლის, შვილსა ზრდის რუსულად, ბავშვში ჰკლავს კეთილ მისწრაფებას, გრძნობას მშობლებისადმი და მით უფრო ერთიათასად ხელს უწყობს მოლიპულ გზაზედ დაყენებულ ახალთაობის ჩქარის ნაბიჯით სიარულს.

მშობელი, რომელიც ბავშვს მთავრობის სკოლაში აძლევს აღსაზრდელად, მოვალეა შვილის ქართულად განვითარებას ყურადღებით მოეპყრას და ააცდინოს იმ სავაგლახო და სამარცხვინო სიკოჭლეს, რომლისგანაც თვითონ ცალფეხ-მოტეხილი დაიარება.

არც თუ ოჯახის გარეშეა საკმარისად ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებული ქართული ენის საქმე. პირიქით, ასე გასინჯეთ, რომ წიგნების მაღაზიაშიაც-კი არ იშოვება ქართული საკითხავი წიგნები. ერთხელ დაშინებული გამომცემელი მეორედ ველარ შესდგომია ბეჭდვის საქმეს, რადგანაც ქართულ წიგნს ბაზარი არა აქვს.

აი მთავარი მიზეზები ქართული ენის დაცემისა.

ამის შემდეგ, რომ დაფიქრდეს ადამიანი, თითქოს ერთი რამ კიდევ დარჩენია სანუგეშებელი. ეს არის ქართული გიმნაზია, სადაც ქართული ენის სწავლება სავალდებულოა. ამ გიმნაზიისკენაა მიპყრობილი ქართველი საზოგადოების იმედით ღსავსე თვალები და ხსნას მის წარმატებაში ხედავს. ჩვენცა გვწადია დავიჯეროთ, რომ ზევით აღნიშნულ გიმნაზიაში კეთილ-სინიდისიერად ემსახურებიან ერთხელ დასახულ მიზანს, მოვალეობას და ნახევრად მაინც გაამართლებენ საზოგადოების ნდობას.



კ. მაყაშვილი.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ქართული გიმნაზია ჯერ კიდევ წარმოადგენს უფრო თავად-აზნაურთა შვილების სასწავლებელს და არა ყველა ქართველებისა ამის გამო სწავლის სისტემაც ექვემდებარება მათ ალღოსა და მოთხოვნილებებს და გიმნაზიის პატრონიც მოვალე ხდება სწავლის პროგრამა დაუახლოვოს მთავრობის პროგრამას. ასეთი შეზღუდვა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა ადვილი ასახსნელია, რადგანაც გიმნაზია არის მხოლოდ ქართველებისა და არა ქართული. ყველა ამეების მცოდნე გიმნაზიის ბატონ-პატრონიც თავისებურად აწარმოებს ერთგვარ პოლიტიკას; არც ქართულს უნდა მოსცდეს და რუსულიც წარმატებით ასწავლოს. ცხადია, ნაყოფი ამგვარი მოქმედებისა სუსტია, ვინაიდან ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს.

ქართულ გიმნაზიაში გალატაკებულ თავად აზნაურთა მოკალათებული შვილები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. ერთია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფორმალისტთა ჯგუფი, რომელიც ვერ გასცილებია ვიწრო წოდებრივ-ნაციონალურ შეხედულებას და ქართული ენის სწავლებას პრაქტიკულის თვალით უყურებს. მეორეა იდეალისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ქართული ენის მცოდნე პირის მასწავლებელ ბ. პეტრე მირიანაშვილის დახმარებით, დასწაფებია ქართულ ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლას.

ამ წრემ, დაახლოვებით უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში, ბ. პეტრე მირიანაშვილის დაუღალავი მოღვაწეობისა და შრომის მეოხებით, კიდევაც მიაღწია დასახულ მიზანს. დღეს, რუსულ სამუშაოსთან შედარებით, არა-ნაკლებ სერიოზულ თემებს სწერენ.

მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში ეს ხომ მინიმუმია იმ სავალდებულო სამუშაოსი, რომელიც უნდა სრულდებოდეს გიმნაზიაში. სამი მეოთხედი შეგირდებისა თვალებ-ახვეულია ქართულ ენის სწავლების საქმეში, დანარჩენნიც კიდევ საშინელ სიღარიბეს განიცდიან, რის გამოც სიმშილ-წყურვილი, შეუმოსველობა, წიგნებისა და სხვა სასწავლო ნივთების უქონლობა დაუძლეველ დაბრკოლებად გადაქცეულა. და თუ რომელიმე მათგანი თავს დააღწევს სიბეჩავე-სილატაკეს, ხშირად ქართულ წიგნს ველარა შოულობს ბაზარზედ ზევით აღნიშნულ მიზეზისა გამო.

რომ ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ყველა ჩვენ-მიერ ჩამოთვლილი დამაბრკოლებელი მიზეზები, ამიტომ საჭიროა გიმნაზიის გამგეობამ სათანადო ყურადღება მიაქციოს ქართულ ენის სწავლება-აღორძინებას, აღარ განიმეოროს მოუმზადებელ შეგირდების მიღება გამოუცდელად სასწავლებელში, თავი დააღწიოს ხელისშემშლელ პირობებს და კარი გაუღოს თავისუფლად მშრომელი კლასის, დემოკრატიის შვილებს. აი მაშინ მიზანსაც მისწვდებიან.

ნათესავი.

## შეხვედრა დიდ მგოსანთან

(მოგონება).

დიდი ხანია მესმოდა საქართველოს დიდებულ მგოსნის აკაკის სახელი. აკაკის ნაწერებით ვიკვებებოდი მეც. აკაკის ნაწერები შეიქნა ჩემი სულიერი საზრდო. აკაკის სახელს გაიძახოდნენ ჩვენი სოფლის პატარა ბიჭები, სკოლაში რომ დაიარებოდნენ, აკაკის ლექსების სიმღერით ვსტკბებოდი როდესაც ღხინში დავესწრებოდი ხოლმე. ყოველ ფეხის გადადგმაზე მესმოდა: აკაკი,—აკაკი და აკაკი... მაგრამ აკაკის პირად ნახვის ღირსი კი ვერ გავხდი და ვერა. როცა ქუთაისში ჩავიდოდი ხოლმე, მას ვიკითხავდი, აქ ხომ არ ბრძანდება ამ ჟამად აკაკი-თქო, მაგრამ ყოველთვის ამაოდ ვქენდი. ბოლოს გადავწყვიტე ქალაქს წავსულიყავ. ერთს წელიწადს ოქტომბერში გწვიე თბილისს. ვიფიქრე, ახლა მაინც გავხდები ღირსი მისი ნახვის-თქო. თბილისში ჩასვლისთანავე გავსწიე ჩემს კარგ მეგობართან, იობა ისაკაძესთან. იობას გადავეცი ჩემი ჩამოსვლის მიზეზი და ვუთხარი: თუ ჩემი მეგობრობა გწამს, უნდა მომიხერხო ბ. აკაკი მაჩვენო და ცოტა ხან გამხადო ღირსი მისი ნახვისთქო. იობას ჩემი განზრახვა ძალიან გაუხარდა: მგოსანი შორიდან მეც დამინახავს და ისე კი პირისპირ არასოდეს არ დავლაპარაკებივარო; რადგან შენც მოგინდომია მისი ნახვა ახლავე წავიდეთ და შევიტყოთ აკაკის ბინა, რომელ სასტუმროში ბრძანდება, გსთხოვოთ მგოსანს საღილად გვეწვიოს, ზაქარია ჭიჭინაძე მოვიხმაროთ ამ საქმეზეო. ავდექით და გავეშურეთ სასტუმროსაკენ (სასტუმროს სახელი აღარ მახსოვს). ზაქარიასთან გვინდოდა გავვეგო და წაგვეყვანა მგოსანთან: მისთვის გვინდოდა დაგვეპატიჟებია მგოსნის დაპატიჟება. ქუჩაში შევიტყეთ ზაქარია ავად არის და ლოგინში წევსო. ჩვენც აღარ შევიარეთ ზაქარიასთან, ავადმყოფის შეწუხებას მოვერიდეთ ქართულ თეატრთან რომ მივაწიეთ, იობამ მითხრა: აი ეს არის აკაკიო და მომითითა ერთს პირზე, რომელიც მოდიოდა თეატრისკენ. მეც როგორც შევხედე მის მადლიან სახეს, მაშინათვე, ვიცანი სურათით. ბ. აკაკი ნელი ნაბიჯით მოდიოდა. ჩემი გულის ცემამ ერთი ორად იმატა. ველოდი იმ ბედნიერ წამს, როდესაც მეღირსებოდა მასთან დალაპარაკება. განსვენებული იობა გამოუდგა და თეატრის კარებთან მგოსანს წინიდან ქუდ-მოხდილი დაუხვდა; მე კი შორი-ახლოს ვიდექი და ვუცქერდი აკაკიმ ქუდ-მოხდილ კაცს შეატყო, რომ მისთვის რაღაცას თქმა სურდა და ვერ გაებედა, მგოსანმა მოჰკიდა ხელი იობას და მოფარებულ ადგილისკენ გაიყვანა. იობა სახტად დარჩა და აკაკის ვერ გაუბედა იმის თქმა, რაც სურდა. შემდეგ როგორც იქნა, მოახერხა და უთხრა: ბატონო, თქვენი წიგნები გამოდის და ხელის-მოწერა მინდაო. აკაკიმ ჰკითხა ვინაობა და როცა შეიტყო ვინც იყო, უთხრა: „ჰო შენ იობა მეპურე ხარ“ —და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, — „კი, ჩემო იობ, მალე გამოვა ჩემი წიგნი, მოდი ჩემთან და გიფეშქაშებო“ აკაკის და იობას ლაპარაკს ხალხი შორი ახლოს უცქეროდა. უთუოდ ჰკვირობდნენ, როგორ ბედავს ეს ვიღაც რაჭველი მეპურე დიდ მგოსანთან ლაპარაკსო. ლაპარაკში იობა თან და თან გათამამდა და მოახსენა მგოსანს: აქ რაჭველი ვინმე არის ჩამოსული და თქვენი ნახვა სურსო. დიდის სიამოვნებითო, ბრძანა აკაკიმ: ხვალ მოდით ჩემს ბინაზე და მნახეთო. ამ სიტყვების შემდეგ მგოსანი თეატრში შევიდა; ჩვენ კი წამოვედით ბინაზე.

მეორე დღეს ადრე ავდექით და გავეშურეთ ზაქარია ჭიჭინაძის სანახავად, მაგრამ იგი ლოგინში მწოლიარე დაგვიხვდა. მისალმების შემდეგ ვსთხოვეთ აკაკისთან გაყოლა. ზაქარია დაგვთანხმდა, ჩაიცვა ტანისამოსი და გავსწიეთ აკაკის ბინისაკენ. მგოსანი ვიკითხეთ სასტუმროში, და გვითხრეს აკაკი ვერაზე სდგასო, ამა და ამ სახლშიო. ჩვენც გავემართეთ ვერასაკენ. უცბად იობამ მუჯლუგუნით მანიშნა რაღაც, მომიბრუნდა და მითხრა: აი, აგერ მობრძანდება აკაკიო. მე და იობა ერთ ადგილზე გავჩერდით. ბ. ზაქარია მივიდა მგოსანთან და მოახსენა ჩვენი წადილი. ზაქარია და აკაკი თითქმის ნახევარ საათს ლაპარაკობდნენ ამ ხნის განმავლობაში კი იობა ქუდ-მოხდილი იდგა ქვაფენილზე ზაქარიამ დაგვიძახა და მივედით მგოსანთან. მგოსანი მოგვესალმა და ხელი ჩამოგვართვა ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ ვასრულებ თქვენს თხოვნას, რადგან დღეს ბატონ-ყმობის გაუქმების დღესასწაულია, ლექციას კითხულობენ თეატრში და იქ მივეშურებიო. რადას ვიზამდით, დავრჩით გულ ნატკენი და წამოვედით და ერთს სასტუმროში ვისადილეთ. ქუჩაში რომ გამოვედით, იობამ წამჩურჩულა: შენი ჭირიმე სთხოვე ზაქარიას შეგვყვეს ფოტოგრაფთან და ერთად დავიხატოთო. ზაქარიას მოვახსენე იობას განზრახვა. მან უარი სთქვა.

—რადგან დღეს ასეთი საქმე ჩაგვეფუშა იმის მაგივრად და სახსოვრად გადავეღებინეთ სურათიო, სთხოვა თავის მხრით იობამ ზაქარიას.

—ბიჭო [?]უ ხარ ჟინიანი, წელანდელი არ იყოს, მთელ ნახევარ საათის განმავლობაში აკაკის ველაპარაკებოდი და შენ კი ქუდ-მოხდილი ქუჩაში იდექიო, ბატონობა, კიდევ ბატონყმური ზედგავლენაო.

—ქუდს ჩემს სიცოცხლეში არ მოვიხდიო, ოღონდ ჩემი თხოვნა აასრულეო,—გაეხუმრა იობა.

როგორც იქნა ფოტოგრაფთან შევიყვანეთ ზაქარია, დავდექით სამხატვრო მანქანის წინ.

—ეს ოჯახ-დაქცეული სიკვდილს ხომ არ მატყობსო,—გამოელაპარაკა ზაქარია, —რას ჩამაცივდა სურათის გადაღებასა

გამოვედით სამხატვრო ოთახიდან. გამოსალმების დროს მითხრა იობამ: რადგან აქ ვერ შევიძელით მგოსნის დაპატიჟება, მოგვწერეთ საქმე, რაჭაში მაინც მივიწვიოთო. მართლაც, ერთი წლის შემდეგ მოვაწყეთ საქმე დიდებული მგოსნის რაჭაში მოგზაურობისა.

ვანო ჭიჭინაძე.

## ქართული ენა გიმნაზიებში

ეს წერილი მივიღეთ ქუთაისიდან ერთ პატარა მოწაფისაგან. ვასრულებთ თხოვნას და ვსტამბავთ.

რედ.

——

სტირის ქართველი!

სტირის, ეძებს შველას, სტირის იმიტომ, რომ კიდევ ჰბუდობს მის გულში გრძნობა ქართველობისა და ჰგონია შვილი წამომეზრდება და ისიც უშველის საქართველოს განახლებასაო, მაგრამ ბოლოს იმედი უცრუვდება ხოლმე.

წამოეზარდა შვილი, დრო მოვიდა მისი სწავლისა, მისცა გიმნაზიაში იმ იმედით, რომ გაიზრდება და გამოვა სამშობლოს მოჭირნახულე.

მაგრამ, ვაი იმედო!

იგი გარუსდა!

გარუსდა განა იმიტომ, რომ არ უნდოდა ქართველობა?!

არა!..

იქნება ძალიანაც უნდოდა გამოსულიყო ქართველი, სამშობლოს მოამაგე, მაგრამ გარემოება ხელს არ უწყობდა.

ყველა რუსულ სკოლებში ქართული ენა დამცირებულია. ერთგვარ რუსულ პოლიტიკას უნდა, რომ ქართველობა გადაგვარდეს და მრავალი ქართველი ამას ვერა ჰხედავს და ვერა ჰგრძნობს არ ჰყავთ, არც უნდათ მოიწვიონ კარგი მასწავლებელი. მაგალითად, ის რა მასწავლებელია, რომელმაც ქართული ბრუნვა არ იცოდეს, რომელიც ქართულ ენის გაკვეთილზე რუსულად ლაპარაკობდეს და რომელიც მთელ წელიწადში შეგირდებს სამ-ოთხ ლექსს ასწავლიდეს და „კაცია ადამიანს“ უკითხავდეს?! განა სახლში მე კი ვერ წავიკითხავ?!

დავდივართ გაკვეთილზე იმიტომ, რომ აგვიხსნას მასწავლებელმა ის სიტყვები და აზრი თხზულებისა, რომელიც არ გვესმის; მასწავლებელი კი დაჯდება სკამზე და იწყობს ვიღაც დიაკვანი კითხვას.

აი ამიტომ ქართული ენა მცირდება ყველას თვალში და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლებელია სულაც გაჰქრეს.

ის შეგირდები კი, რომელთაც უღვივის გრძნობა ქართველობისა და რომელთაც უნდათ საქართველოს განახლება, სცდილობენ თვითონ ისწავლონ ქართული ენა, მაგრამ ისე ვერ სწავლობენ, როგორც ეკუთვნის ჩვენს ენას.

შველა კი არსაიდან სჩანს!

ოჰ, უფალო! მოჰფინე შენი მადლი საქართველოს, გაუღვიძე ყველა ქართველ ახალგაზრდას, ქალსა თუ ვაჟს, გრძნობა ქართველობისა, ხელი მოუმართე ქართველ შეგირდებს, რომ იშოვონ კარგი მასწავლებელი.

უფალო! შენს წინაშე ვდგევარ მუხლმოდრეკილი და გევედრები: მომეც იმედი, რომ საქართველოს განახლება ქართველი ახალგაზრდა აღარ გადაგვარდება და შეიქნება სამშობლოს მოამაგე...

ვინმე ლელო.

——

## სომეხ-მწერალთა საზოგადოების წლიური კრება

კვირას 1 ივნისს საქალაქო გამგეობის დარბაზში მოხდა სომეხ-მწერალთა კავკასიის საზოგადოების წლიური კრება, რომელზედაც დაამტკიცეს წარსული წლის და მიმდინარე წლის სავარაუდო ანგარიში. აირჩიეს აგრეთვე გამგეობის ახალი წევრები. ეს საზოგადოება დაარსდა 1912 წელს და ამ მოკლე ხანში მიიპყრო დიდი ყურადღება სომხის საზოგადოებისა და მოიპოვა მისი სრული თანაგრძნობა. წარსული წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა 10 საზოგადო კრება, გამგეობას კი—38 სხდომა. საზოგადოებასთან დაარსებულია სალიტერატურო ფონდი, რომელიც დაფუძნებულია იმავე პრინციპზე, როგორც რუსის ცნობილი სალიტერატურო ფონდი. წარსულ წელში ამ ფონდს მიემატა 1.258 მან. საზოგადოებამ საანგარიშო წელს გამოიჩინა დიდი საქმიანობა: შეჰკრიბა სახალხო მგოსნის საიათ ნოვას ლექსები და გამოსცა ცალკე, დაუდგა მას საფლავზე ძეგლი, გაარკვია ავტორების ჰონორარის საკითხი. მანვე ძველ ხელნაწერთა დაცვის საქმეს მიაქცია დიდი ყურადღება და გადასწყვიტა ყოველ ექვს თვეს გამოსცეს ხოლმე კრებული „სომხურ ლიტერატურის არქივი“.

საზოგადოების გამგეობის ყურადღება საანგარიშო წლის განმავლობაში მიქცეული იყო საჯარო სხდომების, ლიტერატურულ საღამოების და ბაასების გამართვაზე. ასეთი კრება გაიმართა 21-ჯერ. ლექტორებათ და მომხსენებლათ გამოდიოდენ ადგილობრივი ლიტერატორები. ერთს საღამოზე მიწვეული იყო მიხ. წულუკიძე ქართულ ლიტერატურის შესახებ რუსულად მოხსენების წასაკითხად. ბევრჯელ ამ კრებებზე იმართებოდა საინტერესო კამათი, რომლის დროს ირკვეოდა სხვადასხვა მიმდინარეობა სომხის ლიტერატურაში. ესწრებოდა უმეტესად ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა.

ამგვარად ამ საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიიქცია სომხის საზოგადოების შეგნებული ნაწილისა. დღეს ამ საზოგადოებაში ეწერებიან ისინიც კი, ვინც აქამდის „სხვა თვალით“ და უნდობლად უყურებდენ ამ ახალ საზოგადო დაწყებას.

მართლაც, დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის დამწყებნი და თაოსანნი. მათ მიაგნეს სწორედ იმას, რაც აინტერესებდა სომხის საზოგადოების ფართო წრეებს და რაც შეადგენდა მის აუცილებელ მოთხოვნილებას და ღირსეულადაც გაუძღვენ საქმეს—შეაერთეს სომხის მწერლების და ჟურნალისტების დიდი ნაწილი როგორც ნივთიერ დახმარების მხრით, ისე იდეურ მუშაობისა. უეჭველია, შემდეგში ეს საზოგადოება უფრო გაფართოვდება და ყველა სომხის მწერალი და ჟურნალისტი თავის მოვალეობად ჩასთვლის ამ საზოგადოებაში ჩაწერას და საერთო საქმიანობის ხელისშეწყობას.

არ შეიძლება სიხარულით არ აღივსოს ყოველი შეგნებული ქართველის გული მეზობელ ერის საუკეთესო შვილთა ამ სასარგებლო მუშაობის დანახვაზე. უნებლიედ ახსენდება ამგვარივე ჩვენი დაწესებულება „სიტყვა კაზმული საზოგადოება“, რომელიც აქამდის ძილისაგან ვერ გამორკვეულა. ნუ თუ დრო არ არის გამოფხიზლებისა?!.

„ადე, გოგო, ადე! ადე!—მაღლა ცაზე მზე თამაშობს“—მივუძღვნათ მაინც მას შესაფერი სტრიქონები აკაკის ერთ ძველ მშვენიერ სააღდგომო ლექსიდან.

ვინმე.

——

## ცოტა რამ მეღვინეობის ანკეტის შესახებ

როგორც ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მკითხველებს ეცოდინებათ, კიევის საკომერციო ინსტიტუტში არსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს განზრახული აქვს თიბათვის დამლევიდან შეუდგეს სტატისტიკურ გამოკვლევას შორაპნის მაზრაში მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ სხვა ეკონომიურ დარგებთან ერთად.

წრეს მიზნად აქვს დასახული, რამდენადაც შესაძლებელია, დაახლოვებით გაეცნოს ჩვენი ქვეყნის მეურნეობას ერთის მხრივ და მცხოვრებელთა მატერიალურ მდგომარეობას მეორეს მხრივ.

ერი, რომელიც ეკონომიურად დაცემულია, განადგურების გზაზე არის დამდგარი და მის გადასარჩენად ბევრი შრომა და უნარი არის საჭირო. ყველა ამისათვის კი უნდა ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი, თუ როგორ და რა პირობებში ვითარდება ჩვენი მეურნეობა,

ყველასათვის ცხადია, რომ ესა თუ ის მოვლენა სხვა მოვლენათა შედეგია. ამ მოვლენათა შორის არსებობს ერთგვარი დაკანონებული მიზეზობრივობა და აი ამ მიზეზთა გამოძებნა და შესწავლა შეადგენს სტატისტიკურ გამოკვლევათა მიზანს.

ისეთი სახელმწიფოები, როგორიც ინგლისი, ამერიკა, იაპონიაა ათი-ათასობით და ასი-ათასობით ხარჯავენ სხვადასხვა სასტატისტიკო დაწესებულებებზე. რუსეთის სახელმწიფო ამ მხრითაც ჩამორჩენილია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთა გუბერნიებში, განსაკუთრებით, სადაც ერობები არსებობენ დიდძალი ფული იხარჯება სამეურნეო გამოკვლევებზე. ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში, სადაც მთავრობის ყურადღება მეტად მკრთალად არის მიქცეული მეურნეობის გაუმჯობესობაზე, არ არსებობს არც ერთი დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს განსაკუთრებულად შეხედოს ამ მოვლენას. ჩვენში საჭიროა კერძო თაოსნობა, ამ უკანასკნელისთვის კი გულ-წრფელი სიყვარული საქმისადმი და უნარი შრომისა. კიევის საკომერციო ინსტიტუტში არსებულ სამეცნიერო წრის განზრახვა ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანია.

ეტყობა სტუდენტობას უკვე შეუგნია, რომ დადგა დრო პრტყელ-პრტყელი სიტყვების ნაცვლად საქმით ემსახუროს ჩვენს დაბეჩავებულს მშრომელ ხალხს, გაიცნოს მისი ჭირ-ვარამი, ჩაუკვირდეს მის გულის ვნებას და მასთან ერთად იმოქმედოს იმ მშვენიერ წალკოტის ასაყვავებლად, რომელიც დღეს დაჭლექიანებულივით ჩაითვლებულა. სამაგიეროდ ქართველი საზოგადოებაც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას ქართველ სტუდენტების სასარგებლო დაწყებას. საჭიროა, როგორც მატერიალური დახმარება, აგრეთვე ზნეობრივიც. სტატისტიკური ცნობების შეკრება ისიც ფართო მასაში, არც ისე ადვილია, როგორც შესაძლებელია პირველის შეხედვით გვეჩვენოს. ხალხი უნდობლად მოგვეკიდება სხვადასხვა მოსაზრების გამო. საჭიროა ყოველმა შეგნებულმა ქართველმა, განსაკუთრებით ადგილობრივმა ინტელიგენტებმა ხალხს გააცნონ ანკეტის მნიშვნელობა, რომ ამით მომზადდეს ნიადაგი და ხალხი შეგნებულად შეხვდეს ანკეტას. ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ ანკეტა გამოწვეულია არა-მთავრობის თაოსნობით, რაიმე სახელმწიფო მოსაზრებით (მაგ. გადასახადების მოსამატებლად), არამედ ახალგაზრდობის სურვილით. მას სურს გაიცნოს ხალხის უტყუარი მატერიალური მდგომარეობა. უტყუარი ცნობების შეკრება, აი დანიშნულება ანკეტისა.

მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვიქონიოთ ნათელი წარმოდგენა შორაპნის მაზრის მცხოვრებელთა მატერიალურ მდგომარეობისა არა მარტო მეღვინეობისა და მევენახეობის დარგში, არამედ ყოველ მხრივ, რადგანაც საანკეტო ფურცელი კარგა ფართოდ არის შემუშავებული.

აქვე მოვიყვანთ ზოგიერთ კითხვებს საანკეტო ფურცლიდან, რათა მკითხველს მივცეთ საშუალება სრული წარმოდგენა იქონიოს განზრახულ ანკეტაზე.

1) ეზო და სახლკარის რაოდენობა. 2) რაოდენობა ვენახისა: ა. ამერიკულის ვაზისა, ბ. ადგილობრივისა. 3) რაოდენობა სახნავ მიწისა, ტყისა და საძოვრისა 4) რამდენი დღიური გაქვთ გაცემული იჯარით: ა. ვენახი—რა ფასად ბ. სახნავი—რა ფასად. 5) რამდენი დღიური გაქვთ იჯარით აღებული: ა. ვენახი—რა ფასად ბ. სახნავი—რა ფასად. 6) რამდენი ცხენი გყავთ, ხარი, კამეჩი, ძროხა, თხა, ცხვარი, ღორი. 7) რამდენი ფუთი ყურძენი მოგდით: ა. ამერიკულ ვაზისა, ბ. ადგილობრივისა. 8) რამდენი ფუთი ყურძენი დასწურეთ: ა. ამერიკული ბ. ადგილობრივი. 9) რამდენი ფუთი ყურძენი გაყიდეთ: ა. ამერიკული ბ. ადგილობრივი. 10) როგორ იყიდება საშუალოდ ფუთი ყურძენი: ა. ამერიკული, ბ. ადგილობრივი. 11) საზოგადო ჯამი ყურძნის შემოსავლისა: ა. ადგილობრივისა, ბ. ამერიკულისა. 12) რამდენი ფუთი ღვინო გამოგივიდათ ამერიკულ ყურძნისაგან და ადგილობრივისაგან. 13) რამდენი ფუთი ღვინო გაყიდეთ: ა. ამერიკული ყურძნისა ბ. ადგილობრივისა. 14) რამდენი ფუთი ღვინო დახარჯეთ სახლის საჭიროებისათვის ა ამერიკულ ვაზის ყურძნისა ბ. ადგილობრივისა. 15) როგორ იყიდება საშუალოდ ფუთი ღვინო: ა. ამერიკულისა ბ. ადგილობრივისა. 16) საზოგადო ჯამი ღვინის შემოსავლისა: ა. ამერიკულისა, ბ. ადგილობრივისა. 17) ვინ იყვნენ ღვინის მყიდველები: ა. მუდმივნი ბ. შემთხვევითნი. 18) კმაყოფილი ხართ თუ არა ღვინის [illegible] ჰო თუ არა. 19) რითი აიხსნება [illegible]

შემდეგ ჩამოთვლილია კითხვები: სიმინდის, პურის, ქერის ლობიოს, ბამბის, აბრეშუმის და ხილეულობის შესავალ-გასავალ, ყიდვა-გაყიდვის შესახებ. აქ მაგალითად მოყვანილ ზოგიერთ კითხვებიდან სჩანს, რომ პროგრამა კარგა ფართოდაა შედგენილი. მისი შესრულება მოითხოვს მუყაით შრომას და დაკვირვებულ მოქმედებას.

დასასრულ ვუსურვებთ ჩვენს ახალგაზრდობას პირნათლად შეასრულოს ნაკისრი ფრიად მძიმე მოვალეობა.

ნ. ატოცელი.

ჩვენის მხრითაც სიხარულით ვეგებებით ამ სამაგალითო საქმეს ჩვენი ახალგაზრდობისას. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სოფლის მშრომელი მასსა იმდენად გათვითცნობიერებულია, რომ თვითონაც მიხვდება, თუ რამდენად საჭიროა მისივე ეკონომიური და სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ამ მასალის შეკრება და ამიტომ ხელს შეუწყობს ამ ყოვლად საჭირო და სასარგებლო საქმის დამწყებთ რიგიანად დააბოლოონ მათი ღირსეული საქმე აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კულტურული და ფინანსიური დაწესებულებანი თავის მხრით ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენენ საქმის თაოსანთ და შეაძლებინებენ ხარჯი დაჰფარონ.

რედ.

## პასუხად

**ანაგის ბიბლიოთეკისა და სამკითხველოს სამზრუნველოს წევრს მ. ახ-შვილს**

(წერილი რედაქციის მიმართ.)

„ახალი ფიქრის“ 2 ივნისის ნომერში მოთავსებულია ანაგის ბიბლიოთეკის სამზრუნველოს წევრის მ. ახ-შვილის წერილი ბიბლ. რევიზიის შესახებ. წერილის ავტორი, ნაცვლად იმისა, რომ ბიბლიოთეკას ჯეროვანი მზრუნველობა გაუწიოს (მოუპოვოს რაც შეიძლება მეტი ქართული წიგნები და პერიოდული გამოცემანი, შეადგინოს რიგიანი კატალოგი, მოაწყოს სამკითხველო როგორც ქართველ მოღვაწეთა სურათებით, ისე ავეჯეულობით და სხ.) მოჰყოლია და მლანძღავს მე და ასე გასინჯეთ, თავისდაუნებურად, კიდევაც [illegible], სადაც ჯერ არს... რაშია საქმე?

ამ წლის 22 აპრილს მე დავათვალიერე ანაგის (ქიზიყშია) ბიბლიოთეკა სამკითხველო, რომელიც დაარსდა 1912 წელს მღვდლის ივანე ახმეტელაშვილის პასუხისმგებლობით. ჩემდა საწუხაროდ, ვერ მითხრეს, სად ბრძანდებოდა იმ დროს მამა ივანე. ბიბლიოთეკა მოთავსებულია სამრევლო სკოლის ერთ პატარა ოთახში. აქ დროებით არისო, მითხრეს. ალბად ეს არის მიზეზი, რომ სამკითხველო მოუწყობელია. ბიბლიოთეკას განაგებს სამზრუნველო, რომელიც შვიდი კაცისაგან შესდგება. ბიბლიოთეკაში 700-მდე ქართული წიგნია, 100-მდე რუსული, დაახლოვებით! დანამდვილებით ძნელი იყო ამის გაგება, რადგან მას არა აქვს რიგიანი კატალოგი. სამზრუნველოს შემოსავლის-გასავლის წიგნში აღნიშნულია, რომ 1913 წელს შემოსავალი ჰქონია 126 მან. 20 კ; აქედან დაუხარჯავს 90 მ. 55 კ. 1 იანვარს 1914 წ. ნაშთი იყო 35 მ. და 65 კაპ. იანვრის პირველ რიცხვებში გამოუწერიათ: „ფიქრი“, „თანამედროვე ქვეყანა“, „რუსკოე სლოვო“, „ზაკავკაზსკაია რეჩ“, „სასოფლო გაზეთი“, „ნივა“, „ჯეჯილი“, „სოვრემენნი მირი“ და „ნაკადული“.

—სხვა გაზეთები არ მოგდით? ვკითხე სამკითხველოს მეთვალყურეს, მასწავლებელ ქალს, რადგან მაგიდაზე არ ელაგა სხვა გაზეთები.

—როგორ არა, კიდევ მოგდის „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „განათლება“ და „ლახტი“.

—ესენიც სამზრუნველომ გამოიწერა?

—დიახ.

—მაშ გასავალში რატომ არ სწერია, რამდენი ფული გაეგზავნა ამ გაზეთების რედაქციებს?

—არ ვიცი.

—იქნება შემოწირულია!

—მგონებ შემოწირული უნდა იყოს.

დარწმუნებული ვარ, არც „მზრუნველმა“ ბ-მა მ ახ-შვილმა იცის, რომ „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „განათლება და „ლახტი“ შემოწირულია, თორემ ისე რიხიანად არ გამოაცხადებდა გაზეთში „ანაგის სამკითხველოში გამოწერილი არის „სახალხო გაზეთი“.. და სხვა; არამედ იტყოდა: ესა და ეს გაზეთი ჩვენ გამოვიწერეთ,—ესა და ეს კი შემოგვწირეს და რადგან გამოვიწერდითო“. რადგან ბ-მა „მზრუნველმა“ არ იცის, მე მოვახსენებ: „განათლებას“ უგზავნის ტფილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი; ხოლო „სახალხო გაზეთს“, „თემს“ და „ლახტს“ სამზრუნველოს დაუკითხავად და უთხოვნელად უგზავნიან ანა- [illegible]

თხე—ვინ გთხოვათ „სახალხო გაზეთის“, „თემის“ და „ლახტის“ გამოწერა და რატომ ეს გაზეთები გამოუწერეთ და არა სხვა მეთქი. მიპასუხა „ვის უნდა ეთხოვნა! ჩვენ თითონ გამოვუწერეთ ჩვენ ანაგიდან კართ და საზოგადოებას ვუგზავნით: გვინდა წაიკითხონ და გაიგონ, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში ან სხვაგან, როგორ სცხოვრობს ხალხი, სად როგორი გაჭირვება და მოგებაა, სად როგორი მუშაობა შეჰფერის მიწის მუშას და სხვა. ჩვენ გვინდა რითიმე სასარგებლონი ვიყვნეთ საზოგადოებისთვის. წიგნსაც გვიგზავნიან ანაგიდან დასაკაზმად; ვაგზავნით ხოლმე ჩვენი ფულით და ვუგზავნით. ეს გაზეთები გამოვუწერეთ, და არა სხვა, ამიტომ, რომ ეს გაზეთები მიგვაჩნია ჩვენ ქართული მიმართულების გაზეთებათ“.

სწორედ მადლობის ღირსნი არიან ძმები მირიანაშვილები ამისთანა მზრუნველობისთვის. მე არ ვეხები იმას, თუ რამდენად სასარგებლოა მათი აზრი. დიდად სასიამოვნოა, რომ ისინი სოფლის გულშემატკივრები ყოფილან. სამწუხაროა, რომ ანაგის ბიბლიოთეკის სამზრუნველოს ერთხელ მაინც მადლობა არ გამოუცხადებია ძმებს მირიანაშვილებს და ამით სხვები არ წაახალისა.

ზემოთმოყვანილი ცნობის შემდეგ, იმედი მაქვს დამეთანხმებით, რომ **ანაგის ბიბლიოთეკის სამზრუნველოს ცალმხრივობა გამოუჩენია და მხოლოდ ერთი მიმართულების ქართული გაზეთები გამოუწერია თავის ფულით.** თუ ეს ასე არ არის, მაშ რატომ არ გამოიწერს „ჩვენი ერი“, „კლდე“, „იმერეთი“, „მთავარი“ და „ხმა კახეთისა“; მეტადრე ეს უკანასკნელი! ამ გაზეთში ხომ აუარებელი ცნობებია მოთავსებული სიღნაღის მაზრის შესახებ.

ამნაირი მოვლენა, რომელი მხრიდანაც უნდა იყოს, მე ცალმხრივობად მიმაჩნია, და ყველგანა ვგმობ, სადაც უნდა იყოს. ამიტომ ნურას უკაცრავად, თუ ანაგის ბიბლიოთეკის სამზრუნველოს ვერ მოვუწონე.

იქნება მითხრან (ერთ ადგას მითხრეს კიდეც): შეძლება არ გვქონდა და ვერ გამოვიწერეთო.

„რუსკოე სლოვოსთვის“, „სოვრემენნი მირისთვის“, „ნივისთვის“, და „ზაკავკაზსკაია რეჩისთვის“ ხომ გქონდათ ფული. ბიბლიოთეკა და სამკითხველო გახსნილია ხალხისთვის, ხალხმა მასამ კი ჯერ ქართულის მეტი სხვა ენა არ იცის. ამიტომაც მისთვის აუცილებლად საჭიროა დედა ენაზე გასაგები გაზეთები და წიგნები, მას სწყურია კიდეც ასეთები. თქვენ კი ამის ნაცვლად, უცხო ენაზე დაბეჭდილ ჟურნალ-გაზეთებს აწვდით და ამაზე წლიწადში 35 მანეთს ხარჯავთ (ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე თქვენ ხარჯავთ მხოლოდ 25 მ.). მერე ვისთვის არიან საჭირონი ანაგაში გამოწერილი რუსული გამოცემანი? ცხადია იმ „[illegible] პაწია ნაწილისთვის“, რომელსაც იხსენიებს „მზრუნველი“ მ. ახ-შვილი. თურმე ეს „პაწია ნაწილი“ ამოჰკრეფს რუსული ჟურნალ-გაზეთებიდან მეცნიერებას, გადასცემს ხალხს გასაგებ ენაზე და ამით სამსახურს გაუწევს მას. თუ მეცნიერების რა წყაროს წარმოადგენენ „რუსკოე სლოვო“, სადაც ხშირად ქართველებზე ყალბი ცნობები იბეჭდება, ან ჟურნალი „ნივა“, მკითხველმა საზოგადოებამ კარგად იცის. მადლობა ღმერთს, ქართულ ენაზე ბლომად მოიპოვება გამოცემა, რომლის გაგება და მეთვისება ქართველ ხალხს უფრო ადვილად შეუძლია, ვიდრე უცხო ენაზე დაწერილისა.

ბ-ნი მ. ახ-შვილი სწერს, რომ ვითომც, მე ჩემი შენიშვნები ბიბლიოთეკის სარევიზიო წიგნში ჩავეწერო. როგორ ჩავეწერდი სარევიზიო წიგნში, როდესაც აგეთი მე არ მინახავს და არა მგონია, რომ ანაგის ბიბლიოთეკას სარევიზიო წიგნი ჰქონდეს. ჩემი სურვილი მე აღვნიშნე უბრალო ქაღალდზე არა გაზეთში გამოსაცხადებლად, არამედ ადგილობრივ სამზრუნველოს საყურადღებოდ, რომ ჯერ შეიძინონ ის გამოცემანი, **რომლებიც დიდის უმრავლესობისთვის არის გასაგები**, შეიძინონ ყველა ქართული გაზეთი. შემდეგ კი, თუ საშუალება ნებას მისცემს, „ხალხის პაწია ნაწილის“ სურვილიც დააკმაყოფილონ. ასე ველაპარაკე იმ მასწავლებელ ქალს, რომელიც იქ დამხვდა, ასევე გავუზიარე იმ მასწავლებელ ქალსაც, რომელმაც ჩემ წასვლის დროს ერთი კვირის გაზეთები მიიტანა ბიბლიოთეკაში, და ორთავეს ვთხოვე ეს ჩემი აზრი გადაეცათ სამზრუნველოსთვის. მე ვერ წარმოვიდგინე მაშინ, რომ ვინმე იმ ჩემი შენიშვნით ბოროტად ისარგებლებდა და გაზეთში მსხვილი ასოებით გამოჭიმავდა, რომ ბურჭულაძე რუსული გაზეთების გამოწერას უკრძალავს სამკითხველოებსო. ეს ხომ დასმენაა... სწორე მოგახსენოთ, მე ამას არ მოველოდი. თქვენ ალბად ვერ გრძნობთ, რომ თქვენის წერილით თქვენ აბეზღებთ [illegible]

ზოგადოების წესდებაში სწერია, არც არავის ჩემთვის დაუვალებია, არც ნება მაქვს და არც მიფიქრია ჩვენს სამკითხველოებში რუსული გაზეთების აკრძალვა. დამშვიდდით, არსად, არც ერთ სამკითხველოში რუსული ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და რუსული წიგნების შეძენა არა თუ არ ამიკრძალავს, აზრათაც არ მომსვლია მათ წინააღმდეგ გალაშქრება. მე მხოლოდ ყველგან ვთხოულობდი და ვითხოვ მგონია სამართლიანადაც,—რომ სამკითხველო ხალხს ემსახურებოდეს და არა ერთ-ორ პირს, რომელთაც წლიწადში ერთი-ორი, ან სამი მანეთი შემოაქვთ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ და თორმეტ მანეთიან გაზეთს ან ათ მანეთიან ჟურნალს თხოულობენ თავისთვის.

ვათავებ ჩემს პასუხს და მოვახსენებ ბ-ნს მ. ახ-შვილს, რომ ლანძღვა-გინება და სხვისი პიროვნების უმიზეზოდ შელახვა კარგი არ არის.

გრიგოლ ბურჭულაძე.

P. S. ეს პასუხი „ახალი ფიქრის“ რედაქციაში მივიტანე დასაბეჭდად, მაგრამ რადგან მიზეზის გამო უარი მივიღე.

ახლაც „ახალი ფიქრის“ რედაქციას უმორჩილესად ვთხოვ ეს წერილი უცვლელად დაბეჭდოს.

გრიგოლ ბურჭულაძე.

## კულტურული საქმიანობა სოფ. გორისაში

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „თემში“ ამ პატარა წერილს.

გაზეთ „აზრის“ № 65-ში ვინმე შალვა გომართელმა წერილი მოათავსა სოფელ გორისის შესახებ, (შორაპ. მაზრა), რომელშიაც ამბობს სოფელი გორისა მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებას არ მოეპოვება რიგიანი სასწავლებელი, წვრილი კრედიტის საზოგადოება, წიგნთსაცავ-სამკითხველო და სხვ. და სხვ. ეს სამი წელიწადია ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა გახსნეს და ისიც ვერ არის საიმედო პირობებში. ეხება აგრეთვე ამ სოფლის როგორც მღვდელს, ისე მასწავლებელს და ამბობს, ამათ არ აინტერესებთ ამ სოფლის კულტურული წინ წაწევაო. როგორც ეტყობა, შ. გომართელი ამ სოფლის მკვიდრი უნდა იყოს, მაგრამ ამ სოფლის საქმეს საუბედუროდ, კარგად ვერ იცნობს. ცოდო იქნება რამე ვუსაყვედუროთ მღვდელსაც და მასწავლებელსაც. თვით ამ მღვდელ კ. სალარიძის მეოხებით იქნა გახსნილი ეს ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა. პირველად სკოლას, საშიკო წერეთელმა დაუთმო უსასყიდლოდ კარგა მოზრდილი ოთახი. მთავრობამ ამ სოფლის მასწავლებლათ აქაურ მღვდლის ძმა დანიშნა ივ. სალარიძე, რომელსაც შვიდ თუმნობაზე მეუთანხმნენ პირველ წელიწადს. ახლა წარმოიდგინეთ, განა შეიძლება ცხოვრება მთელი წლის განმავლობაში შვიდ თუმნად და ისიც უცხო სოფელში? იმავე დროს ამ მასწავლებელმა ამ შვიდ თუმნის ნახევარი იმავე სკოლის წვრილმანს მოახმარა. სკოლის დაარსების ერთი წლის შემდეგ მღ. კ. სალარიძე შეუდგა საკუთარ სკოლის შენობის შენებას. ბევრს უნახავს, როგორ ეს მღვდელი, მუხლამდის ტალახში ამოკაპიწებული, ნაფოტა აწეული, ჯოხით ხელში, თითქოს სამოწყალოდ დაიარებაო, დადიოდა კარ და-კარ და სთხოვდა მცხოვრებლებს ფულის გამოღებას სკოლის საკუთარ შენობის აგებისათვის და იმავე დროს უთითებდა სხვა სოფლებზე, თუ რამდენად გაგვასწრესო.. მე, ჩემის მხრით, 5 მანეთი შევწირე, მამაჩემიც 5 მანეთს დაჰპირდა, სხვებმაც შეძლების დაგვარად გამოიღეს ფული და ასე ამნაირად შეგროვდა თანხა დღევანდელი სკოლის შენობისა.

დღეს კი სულ სხვა განზრახვა გვაქვს. ეს სამი თვეა მიწერ-მოწერა მაქვს როგორც მღვდელთან, ისე მასწავლებელთან, აგრეთვე სხვა საიმედო იქაურ მცხოვრებლებთან. გვინდა შენობა ავაგოთ მკვიდრი და ფართო, რომელიც დაიტევს ყველა იმ დაწესებულებას, რომელიც აუცილებლად საჭიროა ჩვენს სოფლისათვის დღეს. ერთი განყოფილება შენობისა დაეთმობა, რასაკვირველია, ორკლასიან სკოლას, რომლის გამოყენებაც შეიძლება ზაფხულობით აუდიტორიათ, მეორე ოთახი დაეთმობა სამკურნალოს. მესამე და და მეოთხე წვრილ კრედიტის საზოგადოებას და წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. სამკურნალოს ოთახს ვუთმობთ ექ. ივ. გომართელის იმედით. მე უკვე ვნახე პირადად ივ. გომართელი და ავუხსენი განზრახვა ჩვენი და ვთხოვე, რომ ზაფხულობით ერთი კვირის განმავლობაში მაინც მიიღოს ხოლმე ავადმყოფები აქ ჩვენ-მიერ მოწყობილ სამკურნალოში. პატივცემული ექიმი დიდი სიხარულით შეეგება ამ განზრახვას. [illegible]

[illegible] ბით შენობისთვისათ. ეს უკვე ვაცნობე ჩვენი სოფლის გულშემატკივრებს. ამათ სიხარულს საზღვარი არა აქვს, როგორც მატყობინებენ წერილით სულით და გულით მოელიან მარიობისთვის შუა რიცხვებს, როდესაც ერილობა გვექნება ადგილობრივ ამ საქმის შესახებ და იმედიცა მაქვს სოფლის სასარგებლოდ დაგვირგვინდება განზრახვა ჩვენი.

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას იმას, რომ ეს ის სოფელია, სადაც დაიბადენ და აღიზარდენ აწ განსვენებული ჩვენი ცნობილი მწერალი და მოღვაწე გ. წერეთელი, შვილი მისი მეორე სათათბიროს გამოჩენილი წევრი კაკი, ცნობილი და საყვარელი ექიმი ივ. გომართელი. ესევე სოფელი იყო სააგარაკო ადგილი ჩვენი ცნობილ ქველმოქმედ ზუბალაშვილების პაპისა.

გ. ნასარიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

„თემი“-ს რედაქციის გამოცემა.

ს. აბაშელის ლექსთა კრებული
„მზის სიცილი“
ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართლის წერილით.
ფასი 50 კაპ.
ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %. მისამართი: გაზ. „თემი“-ს კონტორა.

„სორაპანის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად
სრული სამზარეულო
შედგენილი კნ. ბარბარე ჟორჟაძის მიერ.
წიგნი დიდი ზომისაა და ჩართული აქვს მრავალი სურათი.
ფასი ყდით 1 მ. 40 კაპ. — უყდოთ—1 მ.
თხზულებანი
გიუ-დე მოპასანისა
დასურათებული
ფასი ერთი მანეთი
მიწერ-მოწერის წიგნი
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის-მიერ.
ფასი 30 კაპ.
ვინც სამივე წიგნს ერთად გამოიწერს მას გასაგზანი ფული არ გადახდება
მსურველს ფოსტით „ნალოჟენი პლატეჟითაც“ გაეგზავნება.
ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапанъ“ М. Гачечиладзе.

სავაჭრო სკოლა
უფლებიანი საბუჰგალტრო კურსები და სასწავლებელი გიმნაზიებსა და სხ. სასწავლ. მოსამზადებლად.
ივანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვისა,
მეცადინეობა იწყება 2 ივნისს. ისყიდება სახელმძღვანელოები ბუჰგალტერიის თან-[illegible] სწრებელ შესასწავლად.
მიხეილის პროსპექტი; № 36.

ხელოვნურად — სამკურნალო და — შეზავებული — [illegible] წყალ



მიტროფანე ლაღიძე და
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გა[illegible] ლი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.
ბემო და სუნი საამური აქვს
ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს [illegible] რცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნ[illegible] კურნალო მმართველობისაგან (№ 5792)
ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. [illegible]
ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და [illegible] ლის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი [illegible]
სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე [illegible] და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილ[illegible]
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებ[illegible]
შემდეგი ექიმი-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. |
| | ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—[illegible] |
| | ექ.-ქ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ დღე გარდა კვირისა 1—[illegible] |
| ქირურგიული სნეულებანი | მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ დღე 11½—12½). |
| | მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| | ფირაძლოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი | ექიმი-ქალი ვერბიცკა-ფირაძლოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12. |
| | თაკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. |
| | მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1—1½ |
| | მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. |
| | ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1 |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ. და შაბათ. 12—1 |
| | ფონდოვი გ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½. |
| | ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2. |
| [illegible] | მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½) |
| [illegible] | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო [illegible] ტორია, სისხლის გამოკვლევა, Wasserman [illegible] 50 [illegible]